



ბაჩანა ბარამიძე

რეგიონალური უსაფრთხოების პრობლემები ცენტრალურ აზიაში - ავღანეთის
საკითხი

თბილისი

2020

თავი 1. ავღანეთის პოლიტიკური განვითარება მეორე მსოფლიო ომის შემდეგ

ომის დროს და ომის შემდგომ პერიოდში, მოიმატა ქვეყნის შიგნით დამაბულობამ და 1946 წელს მთავრობა ჩაიბარა მეფის ბიძამ შაჰ-მა მაჰმუდმა. ამ დროის განმავლობაში ავღანეთი იყო აგრარული ტიპის ქვეყანა, რომელიც ნახევრად ფეოდალური წყობილებით მართავდა გლეხებს. $\frac{3}{4}$ იყო მიწათმფლობელების ხელში და აქირავებდნენ მუშახელს. მსხვილი მესაქონლეები, შაჰები და შეიხები ფლობდნენ დიდ სამოვრებს და პირუტყვს. მიწათმოქმედება და მეცხოველეობა იყო ერთადერთი დარგი რომელიც ისტუმრებდა იმპორტით შემოსული პროდუქციის გადასახადს. საგარეო ვაჭრობა იყო ეკონომიკის ძირითადი სფერო, ადგილობრივი მეწარმეობა იყო დაბალ დონეზე. ქვეყანაში არსებობდა რამოდენიმე საწარმო ძირითადად მსუბუქი მრეწველობის ტიპის. ძველებურად, ძირითად მეწარმეობის სფეროდ ითვლებოდა ხელნაკეთი ნივთების დამზადება რაც ფაქტობრივად განადგურდა იმპორტული პროდუქციის შემოსვლის შემდეგ. ქვეყანაში გაძლიერდა უცხოური კაპიტალის ექსპანსია. 1946 წელს აშშ-ს ჩართულობით ხელი მოეწერა შეთანხმებას „მორისონ ნადსენის“ კომპანიასთან რომელმაც აიღო ვალდებულება სარწყავი მილებისა და გზების დაგების ქვეყნის სამხრეთში. სამუშაოების დასრულება 1946 წლისთვის იგეგმებოდა, მაგრამ ასე არ მოხდა, რის გამოც ავღანეთს ფულადი სესხის აღება მოუწია აშშ-სგან.

ეკონომიკურმა პრობლემებმა წარმოშვა სოციალური პრობლემები. მიწათმოქმედებასა და მეცხოველეობაში ფასების ზრდამ ხელი შეუწყო აგრარულ სექტორში მომუშავე ხალხის გაკოტრებას. უარესდებოდა ვითარება გლეხებისთვის რომლებსაც იჯარით ქონდათ აღებული მიწები. ამის ფონზე ქვეყანაში გახშირდა შიდა დაპირისპირებები და საპროტესტო გამოსვლები. 1947 წელს შეიქმნა მოძრაობა „გამოღვიძებული ახალგაზრდობა“, მათი მოთხოვნები დემოკრატიულ-ბურჟუაზიული ხასიათის იყო. პოლიტიკურმა ბრძოლამ ყველაზე მწვავე ფორმა

1952 წელს მიიღო, სახალხო საბჭოს არჩევის დროს. 1952 წლის მაისში ოპოზიციურად განწყობილმა ძალებმა გამართეს დემონსტრაციები ქაბულში რასაც მოჰყვა რეპრესიები მთავრობის მხრიდან. კაპიტალისტური ურთიერთობების განვითარება მოითხოვდა რეფორმებს რომელიც შეძლებდა წარმოების სტიმულირებას ქალაქებსა და სოფლებში, და ასევე აუცილებელი იყო ქვეყანა ნაკლებად დამოუკიდებელი ყოფილიყო უცხოურ ბაზარზე. ამის ფონზე 1953 წელს საჭირო გახდა მთავრობის ცვლილება.

ახალი მთავრობა მუჰამად დაუდის მეთაურობით, ცდილობდა გაეუმჯობესებინა ადგილობრივი მრეწველობა და წარმოების ხარისხი. მუჰამად დაუდის მეთაურობით მოხდა მნიშვნელოვანი გარდაქმნები ეკონომიკის სფეროში. კონტროლის გამკაცრება საგარეო ვაჭრობაზე, საკრედიტო სისტემების გაზრდა ახალი ბანკების დაარსების გზით, ასევე კრედიტების გაცემით სახელმწიფოს მონაწილეობით. 1956 წელს შემუშავდა 5 წლიანი პროგრამა რომელიც მიზნად ისახავდა ქვეყანაში ენერგეტიკის სფეროს განვითარებას, სარწყავი ტექნოლოგიების დანერგვას, სოფლის მეურნეობის განვითარებას და სამედიცინო სფეროს მომსახურეობის გაუმჯობესებას. 1959 წელს ქალებისთვის ჩადრის ტარება აუცილებელი აღარ იყო.

რეფორმების შედეგად 60-იან წლებში თანდათან გაქრა პატრიარქალურ-ფეოდალური წესწყობილება და მოთხოვნა გაიზარდა ადგილობრივ მუშახელზე, რაც გამოწვეული იყო მშენებლობების გააქტიურებით. ეკონომიკური ევოლუციის ფონზე ასევე აღინიშნებოდა წინააღმდეგობრივი დამოკიდებულებები საზოგადოებაში. სერიოზული სოციალური პრობლემები რჩებოდა აგრარულ სფეროში. მწვავე შეტაკებები ხდებოდა მომთაბარე ტომების ლიკვიდაციის მცდელობის პროცესში. მთავრობის პოლიტიკა მხარდაჭერით სარგებლობდა საზოგადოების ბურჟუაზიულ ნაწილში, ამის მიუხედავად ხელშეუხებლობით სარგებლობდნენ წარსულის გადმონაშთი პოლიტიკური ინსტიტუტები, ხანები,

კონსერვატიულად განწყობილი სამეფო ოჯახის წევრები და მუსლიმი სასულიერო პირები.

ომის შემდგომ ავღანეთის ძირითადი საგარეო პოლიტიკური კურსი იყო ნეიტრალური. 1946 წელს გაეროში გაწევრიანების შემდეგ თავი გამოაცხადა კოლონიზაციის მოწინააღმდეგედ, ასევე მომხრე იყო მშვიდობიანი თანაარსებობისა და თანასწორუფლებიანი თანამშრომლობისა სხვა სახელმწიფოებთან.

თუმცა 50-იანი წლების შუა პერიოდში მოხდა მწვავე ესკალაცია ავღანეთსა და პაკისტანს შორის პუშტუნებით დასახლებული რაიონების თემასთან დაკავშირებით, ეს მიწები XIX საუკუნეში იძულებით იყო შეყვანილი იმდროინდელი ბრიტანეთის ინდოეთის შემადგენლობაში, ხოლო 1947 წელს როცა შეიქმნა პაკისტანის სახელმწიფო შევიდა მის შემადგენლობაში, მაშინ ავღანეთი გამოვიდა ამ რაიონის მოსახლეობისთვის ეროვნული თვითგამორკვევის უფლების მინიჭების მოთხოვნით.

1955 წელს ჩაიკეტა სატრანზიტო გზა პაკისტანის გავლით ავღანეთის ტვირთისთვის, ფაქტიურად ეს ნიშნავდა ეკონომიკურ ბლოკადას. ამ ვითარებაში უმნიშვნელოვანესი როლი ჰქონდა ავღანეთისთვის 1955 წელს საბჭოთა კავშირთან დადებულ სატრანზიტო ხელშეკრულებას, საბჭოთა მთავრობა დათანხმდა გაეწია ტექნიკური და ფინანსური დახმარება ავღანეთის ეკონომიკის განვითარებისთვის.

ომის შემდგომ წლებში მოხდა გადახედვა უპირატესობების, ამერიკა და სხვა კაპიტალისტური ქვეყნები დაეხმარა ავღანეთის მთავრობას მიეღო როგორც ტექნიკური დახმარება, ასევე კრედიტებში რაც დაეხმარა ქვეყანას აეშენებინა ენერგეტიკული თუ მეტალოგადამამუშავებელი საწარმოები, ასევე სამთო წიაღისეულის მოპოვების ობიექტები, საგრძნობლად გაიზარდა ქვეყნის წარმოება, ამ გზით ქვეყნის საგარეო კურსის ცვლილება დადებითად აისახა ქვეყნის ეკონომიკაზე.

60-იანი წლების დასაწყისში დაიწყო სერიოზული კრიზისი პაკისტანსა და ავღანეთს შორის. უმეტესწილად დამაბულობა იქმნებოდა ხელოვნურად, რადგანაც

1956 წელს პაკისტანის ის ტერიტორიები რომლებიც დასახლებული იყო კუმტუნებით შევიდნენ სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის გაერთიანებაში. 1961 წელს გაწყდა დიპლომატიური ურთიერთობა პაკისტანსა და ავღანეთს შორის, რამაც ავღანეთში გამოიწვია შედარებით კონსერვატიული საზოგადოების აღშფოთება. 1961-1963 წლების განმავლობაში დაუდის მთავრობა შეეჩება მემარჯვენეების აღზევებას რომელთაც მხარს უჭერდნენ დასავლელი პროპაგანდისტები, მმართველთა შორის უთანხმოებამ მიიყვანა იქამდე, რომ მუჰამად დაუდი 1963 წლის მარტში გადადგა.

დაუდის მთავრობის შეცვლის შემდეგ შეიქმნა ახალი მინისტრთა კაბინეტი, რომლის ხელმძღვანელიც გახდა მუჰამად იუსუფი, რომელიც ადრე იკავებდა მთის საქმეთა და მრეწველობის მინისტრის პოსტს. მუჰამად იუსუფის მთავრობის პირველი ნაბიჯი იყო ნორმალური ურთიერთობების დამყარება პაკისტანთან. მათ შორის მართებულად ჩაითვალა გაგრძელებულიყო წინა ეკონომიკური კურსი „ეკონომიკის ხელმძღვანელობით“, მისი შემდგომი განხორციელებისათვის. მთავრობის საქმიანობის პრიორიტეტულ მიმართულებად იქცა გარკვეული ცვლილებები სახელმწიფოს მართვის სისტემაში, ახალი კონსტიტუციის დამუშავება და მიღება.

1964 წლის სექტემბერში ავღანეთის კონსტიტუციის პროექტი იქნა დამტკიცებული „ლოია ჯირგი-ს“ სხდომაზე, ხოლო ოქტომბერში მეფემ ხელი მოაწერა და ძალაში შევიდა. ახალი კონსტიტუციით დამტკიცდა ავღანეთის კონსტიტუციური-მონარქიული წყობა. მეფე აღიჭურვა: აღმასრულებელი, საკანონმდებლო და სასამართლო ძალაუფლებით. ამის შემდეგ უკვე მეფის ოჯახის წევრებს აეკრძალათ ოფიციალური თანამდებობების დაკავება პარლამენტში და უმაღლეს სასამართლოში, ეს არის მთავარი განსხვავება წინა მთავრობის მმართველებსა და ახლებს შორის. ავღანეთის მოქალაქეებს ენიჭებათ შემდეგი უფლებები: სიტყვის, ბეჭდვის და შეკრების თავისუფლება, კანონის წინაშე ყველა თანასწორი გახდა. მიუხედავად ისლამის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებისა,

კონსტიტუციით შეიზღუდა რელიგიური მოძღვრების ჩარევა განათლებასა და სასამართლო წარმოებაში. ეს სფეროები გავიდა სახელმწიფოს კონტროლიდან.

შეიქმნა ქვეყნის ორპალატიანი პარლამენტი, რომელიც შედგება: ქვედა პალატა - სახალხო საბჭო, რომლის დეპუტატებს ირჩევენ 4 წლით და ზედა პალატა - სენატი, რომლის დეპუტატების 2/3 ინიშნება მეფის მიერ, ხოლო 1/3 ირჩევენ პირდაპირი არჩევის წესით.

1965 წლის სექტემბერში ჩატარდა ახალი პარლამენტის არჩევნები, რომელშიც ქალებმა პირველად მიიღეს მონაწილეობა. ახლად არჩეული პარლამენტის პირველი აქტი იყო ნდობა გამოეცხადებინა მინისტრთა კაბინეტის შემადგენლობისათვის, რომელიც ფორმირებული იყო მეფე მუჰამად იუსუფის მიერ. მაგრამ დეპუტატებისთვის შეიქმნა გაუთვალისწინებელი მდგომარეობა, დედაქალაქის საზოგადოება, განსაკუთრებით მისი რადიკალურად განწყობილი ნაწილი, გამოთქვეს მკვეთრი პროტესტი რამოდენიმეს მიმართ, რომლებიც ადრე შემჩნეულნი იყვნენ კორუფციში და ქრთამის აღებაში. 25 და 26 ოქტომბერს დედაქალაქში გაიმართა ხალხმრავალი საპროტესტო დემონსტრაცია. მთავრობამ გამოიყენა ძალა, რის შედეგადაც იყო მსხვერპლი, ძირითადად სტუდენტებში. ერთი კვირით დაიხურა უნივერსიტეტი და სკოლები. მიუხედავად ამისა, ახალი მინისტრთა კაბინეტი დაამტკიცა პარლამენტმა და შემდეგ მხარდაჭერა მიიღო მეფისგან.

საზოგადოების განწყობის იგნორირებამ გამოიწვია ახალი მასიური საპროტესტო გამოსვლები, ძირითადად ახალგაზრდების და 29 ოქტომბერს მთავრობა იძულებული გახდა უარი ეთქვა უფლებამოსილებაზე, შეიქმნა ახალი კაბინეტი ინფორმაციის და ბეჭდვის მინისტრის ხელმძღვანელობით. მთავრობამ დადო პირობა, რომ არ გადაუხვევდა კურსს, „შერეულ ეკონომიკას“, რომელიც დაფუძნებული იყო დაგეგმარებაზე, შიდა პოლიტიკაში მიუმხრომლობაზე და პოზიტიურ ნეიტრალიტეტზე.

ამ დროს ქვეყნის პარლამენტი ძალიან დიდხანს ყოყმანობდა საზოგადოებრივი კანონპროექტის დამტკიცებაზე, აღნიშნული, არც მეფის მიერ იქნა დამტკიცებული, ყველა პოლიტიკური პარტია და ორგანიზაცია, რომლებიც წარმოიშვნენ 60-იან წლებში, ფაქტიურად აღმოჩნდნენ ლეგალურ ან არალეგალურ მდგომარეობაში. ერთადერთი რაც პარლამენტმა დაამტკიცა და ამოქმედა ეს იყო ბექდვის ახალი კანონის მიღება 1965 წელს. ქვეყანაში დაიწყო კერძო გაზეთების და ჟურნალების გამოსვლა. 1973 წელს მათი რიცხვი 26-ს აღწევდა.

60-იანი წლების ბოლოს და 70-იანი წლების დასაწყისში არ მომხდარა არსებითი ცვლილებები, რომლებიც გააუმჯობესებდა საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას, სტაბილურობას საზოგადოებრივ-პოლიტიკურ სიტუაციაში, რის გამოც წარმოიშვა საერთოეროვნული კრიზისის ნიშნები.

პირველად ქვეყნის ისტორიაში გამოთქვეს უკმაყოფილება მშრომელებმა, მუშებმა. 60-იანი წლების ბოლოს მათი რაოდენობა 800 000 კაცს აღწევდა, მათგან მრეწველობაში 30 000 კაცი იყო დასაქმებული. 1968 წლის აპრილში რამოდენიმე საწარმო გაიფიცა, ამავე წლის 1 მაისს მუშათა სოლიდარობის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით საგაფიცვო მოძრაობა პირველად მართავს დედაქალაქში და სხვა ქალაქებში დემონსტრაციებს, სადაც გაისმა მოთხოვნა, რომ ეს დღე გამოცხადებულიყო მუშათა დღედ და უფლება მიეცათ, შეექმნათ მუშათა პროფკავშირები.

1969 წლიდან ბრძოლაში კვლავ ერთვება სტუდენტობა. ახლა უკვე გამოჩნდა მათი ძალა, რომელთაც შეუძლიათ დამოუკიდებლად გამოსვლა და დადგომა მათ პოზიციებზე. სტუდენტური მოძრაობა ნელ-ნელა ჩამოყალიბდა მმართველი რეჟიმის ოპოზიციურ ძალად. პოლიტიკური განწყობა გადავიდა არმიაშიც, უპირველეს ყოვლისა ოფიცერთა კორპუსში.

70-იანი წლების დასაწყისში ავღანეთის შეიარაღებული ძალების რაოდენობა აღწევდა 90 000 კაცს. 60-იან წლებში არმია მნიშვნელოვნად მოდერნიზდა, ტექნიკურად გარდაიქმნა. ოფიცრები უკვე სხვადასხვა საზოგადოებრივი ფენებიდან

წამოვიდნენ. უფროსი ოფიცრები წარმოადგენდნენ ფეოდალურ არისტოკრატას, მსხვილ ვაჭრებს და უმაღლეს ბიუროკრატას. საშუალო და მცირე ოფიცრები წარმოიშვნენ საშუალო ფენისგან და მუშათაკლასიდან. მნიშვნელოვანი ნაწილი ოფიცრების სიმპატიურად განეწყვნენ დემოკრატიულ-პოლიტიკური ჯგუფებისადმი. ნაწილი დანარჩენი ოფიცრებისა ინარჩუნებდნენ კონსერვატიულ შეხედულებებს. იდეებს, როგორც მემარჯვენე ისე მემარცხენე მხრიდან ჰქონდა სხვადასხვა მხარდაჭერა.

ამ პერიოდისათვის ავღანეთის პოლიტიზირებულმა საზოგადოებამ მიიღო საბოლოო სახე, დასრულდა პოლიტიკური პარტიების, ორგანიზაციებისა და საზოგადოებების ჩამოყალიბება. 1965 წლის იანვარში შეიქმნა ავღანეთის სახალხო-დემოკრატიული პარტია რამოდენიმე მარქსისტული წრის და სხვადასხვა ჯგუფების გაერთიანებით. პირველ ყრილობაზე, რომელიც ჩატარდა 1965 წლის 1 იანვარს, არჩეულ იქნა პარტიის უმაღლესი ხელმძღვანელობა შვიდკაციანი შემადგენლობით. გენერალური თავმჯდომარედ დაინიშნა ნ.მ. ტარაკი, ხოლო მის მოადგილედ კი ბაბრაქ ქამალი. 1966 წლის აპრილში პარტიის ხელმძღვანელობამ დააარსა ბეჭდვითი ორგანო - გაზეთი „ჰალკი“ (ხალხი). პარტიის საბოლოო მიზანს წარმოადგენდა ახალი სოციალისტური საზოგადოების ჩამოყალიბება. თუმცა 1966 წლის მაისში მთავრობამ აკრძალა შემდეგი ნომრების გამოშვება, ამის მიუხედავად პარტიის წარმომადგენლებმა მოახერხეს შეღწევა სტუდენტთა ორგანიზაციებში და ჯარის შემადგენლობებში.

60-იანი წლების ბოლოს გაზეთ „შოალენჯავიდ“-ის გარშემო ჩამოყალიბდა მცირე ბურჟუაზიული ექსტრემისტული ჯგუფი, ისინი საკუთარ თავს უწოდებდნენ „ახალ დემოკრატებს“, მაგრამ არსებითად ითვლებოდა მათ მე დუნის თეორიის მიმდევრებად. მათ მიერ პროვოცირებული შეტაკება სტუდენტებსა და პოლიციას შორის, დასრულდა მათი დაკავებით და გაზეთის დახურვით 1968 წელს. 60-იანი წლების მეორე ნახევარში წარმოიშვა სოციალ-დემოკრატიული მოძრაობა ბურჟუაზიულ-დემოკრატიული იდეებით. ამ პროცესმა გვერდი ვერ აუარა

სასულიერო პირებსაც. 60-იანი წლების ბოლოს კულტის მსახურთა რაოდენობა შეადგენდა 230 ათას კაცს. მათი შემადგენლობა არ იყო მხოლოდ ერთი ეროვნების, სოციალური მდგომარეობის, თუ პოლიტიკური შეხედულების. მათი დაყოფა შეგვიძლია ორთოდოქსებად, რეფორმატორებად, ტრადიციონალისტებად და აგრეთვე ფუნდამენტალისტებად და მოდერნისტებად.

რეფორმატორები ქადაგებდნენ ისლამის თანამედროვე პირობებზე მორგებას, ორთოდოქს-ტრადიციონალისტები დიდი მეჩეთების იმამების მოძღვრებას და ეწინააღმდეგებოდნენ ყოველგვარ გარდაქმნას. ისინი ერთდროულად დაუპირისპირდნენ კაპიტალიზმს და სოციალიზმს. ფუნდამენტალისტები, რომელთა პოლიტიკურ ჯგუფებად ფორმირება მოხდა 60-იანი წლების ბოლოს, წარმოდგენილი იყვნენ უკიდურესი მემარჯვენე იდეების მატარებელი ორგანიზაციებით, როგორცაა „ძმები მუსლიმები“ და „ისლამური ახალგაზრდობა“. ხოლო მოძღვარ-მოდერნისტები, რომელთაც ჰქონდათ თეოლოგიური განათლება, ათვისებული სხვადასხვა ბურჟუაზიული კონცეფციები და სოციალისტური იდეები, მოითხოვდნენ „ისლამური სოციალიზმის“ საზოგადოების შექმნას.

ქვეყნის მემარჯვენე წრეები შეეცადნენ შეექმნათ პროსახელისუფლო პარტია - „პროგრესული დემოკრატების პარტია“. მათი მიზანი იყო ისლამის პრინციპები, კონსტიტუციური მონარქია, ნაციონალიზმი და სოციალიზმი. თუმცა ასეთმა იდეოლოგიამ არ გაამართლა, ის არ წარმოადგენდა პარტიას, არამედ ადამიანთა ჯგუფს, რომლებიც მ.კ. მაიჰანდალის ერთგულები იყვნენ.

მ.კ. მაიჰანდალის შემდგომ 1973 წელს გადატრიალებამდე, პრემიერ-მინისტრის პოსტებს იკავებდნენ ნურაჰმად ეტემადი (1967-71), აბდულ ზაჰირი (1971-72) და მუსა შაფიკი (1972-73). საქმე იმაშია, რომ პრემიერ-მინისტრს არ გააჩნდა პოლიტიკური მნიშვნელობა, რადგან მას ნიშნავდა მეფე. ამიტომ ისეთი პრემიერ-მინისტრები, რომლებიც დაინტერესებული იყვნენ რეფორმებით, ხელები ჰქონდა შეკრული.

1973 წლის აგვისტოში ფორმირებულ იქნა პირველი რესპუბლიკური მთავრობა. 23 აგვისტოს რესპუბლიკური ცენტრალური კომიტეტის მიერ ქვეყნის მმართველად პრემიერ-მინისტრის პოსტი დაიკავა მ. დაუდმა. ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური ცხოვრების გასაუმჯობესებლად შეიქმნა ბევრი სირთულე. ძალისხმევა იქნა მიღებული კორუფციისა და სპეკულაციის წინააღმდეგ, მშრომელებისა და მოსამსახურეების ცხოვრების დონე გაუმჯობესდა, მეწარმეებისთვის დადგინდა ფიქსირებული გადასახადი და ა.შ.

ასევე მიიღეს მიწის რეფორმა, რომლის მიხედვითაც მიწათმფლობელობა განისაზღვრებოდა 20 ჰექტარამდე. ლიმიტზე ზემოთ არსებულ მიწებს კონფისკაციას უკეთებდნენ და გადასცემდნენ გლეხებს გამოსასყიდის უფლებით. საერთო ჯამში მიწების მიღება შეძლო 5 ათასზე მეტმა გლეხმა, რომლებიც შეადგენდნენ მთლიანი ავღანეთის გლეხობის 1%.

რეორგანიზაცია განიცადა განათლების სისტემამ. შემდგომი განვითარება განიცადა პროფესიულ-ტექნიკურმა სწავლებამ. დამყარდა სახელმწიფო კონტროლი ყველა კერძო სკოლაზე, სასულიეროს ჩათვლით. ეს აგრეთვე აისახა სოციალური განვითარების შვიდწლიან ეკონომიკურ პროგრამაზე: პროგრამის ავტორები ფაქტობრივად იგნორირებას უკეთებდნენ ამოცანას, მობილიზაცია გაეკეთებინათ ადგილობრივ რესურსებზე და იმედს ამყარებდნენ რესურსების მოზიდვას საზღვარგარეთიდან. გარკვეული დროის შემდეგ მუჭამედ დაუდი იძულებული გახდა რევიზია ჩაეტარებინა და გადაეხედა მის მიერ გამოცხადებული კურსისათვის, ავღანეთის სოციალურ-ეკონომიკური და დემოკრატიული გარდაქმნა. 1974 წლის დასაწყისიდან მინისტრთა შემადგენლობიდან თავისუფლდებიან მემარცხენე ძალების წარმომადგენლები, უპირველეს ყოვლისა (ასდპ) წევრები. მნიშვნელოვნად ძლიერდება მემარჯვენე და კონსერვატიული ძალების როლი. იცვლება სოციალური პროგრამების შესრულება და მიწის რეფორმის განხორციელება. ცხადი გახდა, რომ მ. დაუდი მიდიოდა ერთპიროვნული მმართველობისაკენ. ქვეყნის მეთაურის და პრემიერ-მინისტრის

პოსტის გარდა ის ხდება საგარეო საქმეთა და თავდაცვის მინისტრი. 1976 წელს ინიცირებული იქნა იდეა შექმნილიყო სამთავრობო პარტია. წლის ბოლოს შეიქმნა პარტია და ეწოდა ეროვნული რევოლუციური პარტია. პარტიის ხელმძღვანელი ორგანო შედგებოდა 5 დაახლოებული მთავრობის მინისტრისაგან. მხოლოდ ამ პარტიას მიეცა მონოპოლია ქვეყანაში პოლიტიკური მოქმედებისა.

მთავარ ეტაპად რესპუბლიკური მმართველობის სტრუქტურის ევოლუცია გახდა 1977 წლის იანვრის არჩევნები და მ. დაუდის პრეზიდენტად არჩევა და კონსტიტუციით დამტკიცება. მთელი ამ პროცედურებით პრეზიდენტი გახდა ქვეყნის ერთპიროვნული მმართველი. მთელი ძალაუფლება გადავიდა მის ხელთ, როგორც მეფის დროს იყო.

ერთის მხრივ თითქოს დაცული იყო მოქალაქის უფლება და თავისუფლება, მეორეს მხრივ აიკრძალა საზოგადოებების, პროფკავშირების და პოლიტიკური პარტიების შექმნა. შეიზღუდა სიტყვის და ბეჭდვის თავისუფლება (უფრო ადრე, 1976 წლის შემოდგომაზე მიღებული იქნა სპეციალური კანონი, რომლის მიხედვითაც მიზანშეწონილი იყო 10 წლიანი პატიმრობა, როგორც პროპაგანდული იდეებისა ისე პოლიტიკური პარტიების შექმნის და აგრეთვე, რომლებიც შეუქმნის საფრთხეს ქვეყნის საერთოაღიარებულ მიღწევებს პოლიტიკურ და სოციალურ საკითხებში).

1977 წლის კონსტიტუციამ იურიდიულად გაამაგრა ამ დროისთვის არსებული მმართველობის ახალი ფორმა, მ. დაუდის ერთპიროვნული მმართველობის დიქტატურა. კონსტიტუციის მიღებით დაუდი საბოლოოდ დაუპირისპირდა საზოგადოების დემოკრატიულ ძალებს, აგრეთვე რადიკალურ-კლერიკულ ძალებს. ერთპარტიული სისტემის შემოდგომის პარალელურად აიკრძალა დანარჩენი პარტიების და პოლიტიკური ორგანიზაციების მოქმედება. რამოდენიმე პარტია დაიშალა, სხვები გადავიდნენ ფარული რეჟიმის მოქმედებაზე, ავღანეთის სახალხო დემოკრატიული პარტიის ჩათვლით.

შიდაპოლიტიკური მდგომარეობა 1978 წელს მნიშვნელოვნად დაიძაბა. მთავრობისთვის არასახარბიელო სიტუაცია შეიქმნა. ხშირ მოვლენად იქცა მოსახლეობის საპროტესტო გამოსვლები, პუშტუნების აჯანყებები. გახშირდა მოსახლეობის შეტაკება პოლიციასთან და არმიასთან, შენობების დაწვა, ძარცვა გზებზე, ტერორისტული აქტები. დაუდის რეჟიმი გადავიდა პირდაპირ რეპრესიებზე ოპოზიციური ძალების მიმართ.

კრიზისის გაფართოება და გაძლიერება გამოიწვია 1978 წლის 17 აპრილს (სდპ)-ს ერთ-ერთი ხელმძღვანელის მირ აკბარ ხაიბარის მკვლელობამ. მისი დაკრძალვა გადაიზარდა პოლიტიკურ მანიფესტაციაში. მთავრობა ფიზიკურად გაუსწორდა მემარცხენე ოპოზიციის ცნობილ მოღვაწეებს. გაიცა სიგნალი შეიარაღებული გამოსვლისა. ავღანეთის არმიის რამოდენიმე ბატალიონი თავს დაესხა დაუდის პრეზიდენტის რეზიდენციას და მთავრობის ხალხს. დაუდი გაჩაღებული ბრძოლების დროს იქნა მოკლული, ეს მოხდა 1978 წლის 27 აპრილს. ასევე წარმოიშვა აპრილის რევოლუცია, რომელიც გაიწვლა წლების განმავლობაში, იგი გახდა ერთ-ერთი დრამატული მოვლენა მთელი ავღანეთის ისტორიის განმავლობაში. ავღანეთის სახალხო დემოკრატიული პარტიის მმართველობის წლები

ციხიდან განთავისუფლების შემდეგ, (სდპს)-ს ხელმძღვანელობამ ძალაუფლება აიღო ხელში. ფორმირებულ იქნა რევოლუციური საბჭო, რომელიც გახდა ქვეყნის უმაღლესი ორგანო, აგრეთვე ახალი მთავრობა. ერთდროულად რევოლუციური საბჭოს თავჯდომარედ და პრემიერ-მინისტრად დაინიშნა ნურ მუჰამად ტარაკი. მის მოადგილედ დაინიშნა ბაბრაქ ქამალი. ქვეყანამ მიიღო სახელწოდება „ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკა. ახალი რესპუბლიკა, მსოფლიოს ბევრი ქვეყნის მიერ იქნა აღიარებული, მათ შორის: აშშ-ს, გერმანიის, ბრიტანეთის, პაკისტანის, ს-კორეის და სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების მიერ.

1978 წლის 9 მაისს რევოლუციური საბჭო და ასდპ ჩამოყალიბდნენ ქვეყნის მაორგანიზებელ და მიმართულების მიმცემ ძალად. პირველი რიგის ამოცანად იქცა უმიწო და მცირემიწიანი გლეხების შემცირება, სხვადასხვა ძველი ტრადიციების

გაუქმება, მაგალითად გადასახადი საპატარძლოსთვის. შემდგომი ნაბიჯი იყო მრავალმიწიანობის გაუქმება. პირველ რიგში კონფისკაცია განიცადა მეფის ოჯახის წევრების საკუთრებაში მყოფმა მოძრავმა და უძრავმა ქონებამ, აგრეთვე პრეზიდენტ დაუდის საკუთრებაში მყოფმა მიწებმაც. პირველადი მოთხოვნის საქონელზე დაიწყო ფასებმა, გაუმჯობესდა მათი მიწოდება მოსახლეობისათვის. დაიწყო ახალი სკოლების, საცხოვრებელი სახლების, მეჩეთებისა და სამრეწველო ობიექტების აშენება.

ადპ-ს ჩანაფიქრი, დაწყებული ქვეყნის გარდაქმნა უკეთესობისკენ ცხადი გახდა - დაიწყო რევოლუციის შედეგების მიმართვა გლეხებისკენ, ქალაქის მშრომელებისკენ, იმისათვის, რომ ფორმირებული ყოფილიყო მათი სოციალური ბაზა. მიუხედავად რევოლუციის პროპაგანდისა - რევოლუციის მიმართ გლეხების კეთილგანწყობის მოპოვების პროცესში წარმოიშვა პრობლემები. მათი მოქმედება გახდა ხისტი და ფაქტიურად მოუმზადებელი, გააზრებული არ იქნა ეროვნული ადათ-წესები, სოციალური ფსიქოლოგია. „რევოლუციურმა მოუთმენლობამ“ გამოიწვია გლეხებში ნდობის დაკარგვა. თუ რეფორმის პირველ ეტაპზე მიწების ჩამორთმევა ხდებოდა მრავალი მიწების მქონე მესაკუთრეების ხარჯზე, რაც დადებით ეფექტს იძლეოდა მოსახლეობაში, მომდევნო ნაბიჯი იყო საშუალო მიწათმფლობელობაზე მიწების ჩამორთმევა ყოველგვარი დათმობის გარეშე. წარმოიშვა კიდევ სხვა სერიოზული პრობლემები. მიწის არ მქონე და მცირე მიწიანი გლეხები, რომელთაც გადაეცათ მიწები აღმოჩნდნენ ფსიქოლოგიურად მოუმზადებელნი, გარკვეული შეზღუდვები მოქმედებდა მიწის მფლობელობაში, მათ არ შეეძლოთ მათი გაყიდვა, არენდით გაცემა, გირაოში ჩადება და მემკვიდრეობით გადაცემა. უკანასკნელი აკრძალვა პირდაპირ წინააღმდეგობაში მოდიოდა შარიათის კანონთან, ეწინააღმდეგებოდა ავღანელი გლეხების ადათ-წესებს. ასაკის ზღვარის დაწესება საპატარძლოებისთვის და მათი გამოსასყიდის აკრძალვა, ჩაითვალა როგორც ხელისუფლების ჩარევა მათ ოჯახურ ცხოვრებაში, აგრეთვე ქალების ჩართვამ სხვადასხვა საგანმანათლებლო წრეებში წერა კითხვის

უცოდინრობის აღმოსაფხვრელად იყო მნიშვნელოვანი ნაბიჯი. 1979 წელს დაიწყო რელიგიაში დაუფარავი ჩარევა. ეს და სხვა უხეში პოლიტიკური შეცდომები გახდა წინაპირობად დაწყებულიყო სამოქალაქო ომი ავღანეთში.

თავი 2. ისლამური პრინციპები და პოლიტიკური ვითარება

თანამედროვე ავღანეთში

ავღანეთში ისლამის როლი ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში რიგი ობიექტური და სუბიექტური მიზეზების გამო, ამჟამად, არა მარტო არ შემცირდა, არამედ კიდევ უფრო მნიშვნელოვანი გახდა. იგი კვლავინდებურად მოსახლეობის და განსაკუთრებით გლეხობის სოციალური ფსიქოლოგიის უმნიშვნელოვანეს კომპონენტად რჩება. გარდა ამისა, ისლამს, ერთი მხრივ, ავღანეთის რესპუბლიკის მთავრობა ეროვნული შერიგების პოლიტიკის განხორციელებაში იყენებს, ხოლო, მეორე მხრივ, ოპოზიციური ძალების ხელში იგი წინააღმდეგობის იარაღს წარმოადგენს. ეს უკანასკნელი გარემოება ნათლად მეტყველებს ისლამის პოლიტიკური როლის არაერთმნიშვნელობაზე. იგი განისაზღვრება იმით თუ რომელი ძალები იყენებენ მას, დემოკრატიული თუ რეაქციული. ცხადია, აქ არ შეიძლება იგნორირება იმისაც, რომ ირანში ისლამური მოძღვრების განვითარების ახალმა ეტაპმა გავლენა მოახდინა ავღანეთზეც.

ისლამის როლი ქვეყნის ცხოვრებაში ჩვენთვის კიდევ უფრო ნათელი გახდება თუ გავითვალისწინებთ, რომ ავღანეთი ტრადიციულად მუსლიმური სახელმწიფოა. ქვეყნის მოსახლეობის 98%-ზე მეტს წარმოადგენენ მუსლიმები და მათი 85% აღიარებს სუნიზმს.

ისტორიულად ავღანეთის ტერიტორიაზე ისლამი თავდაპირველად გავრცელდა ბალხში, ჰერათში, სეისთანში. ქაბულის, გურის ოლქებში და ძნელად მისადგომ სხვა მთიან რაიონებში მოსახლეობამ ისლამი აღიარა მხოლოდ IX-XI საუკუნეში. ადრეული პერიოდის ავღანეთში ისლამის დამკვიდრების უნიკალურ არქიტექტურულ ძეგლს წარმოადგენს ხაჯა-ფეიადა, რომელიც განლაგებულია დღევანდელი ბალხის მახლობლად.

ჯერ კიდევ XIX საუკუნეში ისლამს ავღანეთის სახელმწიფოს რელიგიად მიიჩნევდნენ, ხოლო მისი სამღვდლოება ქვეყნის მეტად გავლენიან სოციალურ

ფენას შეადგენდა. იგი აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა განათლების და მართლმსაჯულების ორგანოთა საქმიანობაში.

ავღანეთში შარიათი, როგორც მუსლიმური კანონების კრებული, საუკუნეების მანძილზე არა მარტო სამოქალაქო და სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენდა, არამედ იგი სახელმწიფოს მთელი მართლმსაჯულების ფუნქციონირების რეგულირებას უზრუნველყოფდა. აღსანიშნავია, რომ შარიათის სასამართლოები მოქმედებენ 1978 წლის აპრილის რევოლუციის შემდეგაც, რაც ავღანეთის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში ისლამის უდიდეს როლზე მეტყველებს. ისლამის რელიგიური დოგმები, საუკუნეობრივი ტრადიციები გავლენას ახდენენ საზოგადოებრივი ცხოვრების პრაქტიკულად ყველა მხარეზე, მათ შორის ქცევის ნორმებზე, მორალზე, ოჯახისა და ქორწინების საკითხებზე, მემკვიდრეობაზე, გარეშე სამყაროსადმი ადამიანის დამოკიდებულებაზე და ა. შ.

სამღვდელოება ავღანეთში დღესაც წარმოადგენს გავლენიან სოციალურ ფენას, რომლის რაოდენობაც 300 ათას კაცს აღწევს.

კაპიტალისტური საწარმოო ურთიერთობის განვითარების მოთხოვნებისადმი ისლამის შეგუების ცდა ზომიერ ხასიათს ატარებდა, რაც აიხსნებოდა საკუთრივ პოლიტიკური ზედნაშენის გარკვეული ორჭოფული და წინააღმდეგობრივი ხასიათით. ყოველივე ეს ავღანეთის საზოგადოების ბურჟუაზიულ მოდერნიზაციას ხელს უწყობდა.

ტრადიციული მონარქიული ზედნაშენი, თავისი ძირითადი პოლიტიკური და ორგანიზაციულ-იდეოლოგიური ფორმით, მოცემულ შემთხვევაში ახალი ბურჟუაზიული წესწყობილების ერთგვარ აგენტის როლს ასრულებდა და ზოგიერთი თავისი თვისებით ობიექტურად პრინციპიალურად ახალი სახით გამოდიოდა. ამით იგი ფორმაციულ-ანტაგონისტური ელემენტების სინთეზს წარმოადგენდა. ზედნაშენის ასეთი ორჭოფობა არსებითად ართულებდა მის

მოდერნისტულ ფუნქციებს, ხოლო საკუთრივ მოდერნიზაცია იზღუდებოდა და ზომიერ ჩარჩოებს არ სცილდებოდა.

ეს გარემოება აღრმავებდა სოციალურ-პოლიტიკურ წინააღმდეგობრიობას ავღანეთის საზოგადოების შიგნით და ხელს უწყობდა მის შემდგომ გამწვავებას მოდერნიზაციის ეკონომიკური ასპექტების განხორციელების კვალობაზე. ქვეყნის ბურჟუაზიული განვითარების ახალ პირობებში, რომელიც შეიქმნა მეორე მსოფლიო ომის შემდგომ ხანაში, საზოგადოებრივი ურთიერთობის სისტემაში რელიგიის როლი და ადგილი გარდუვლად უნდა შემცირებულიყო და როგორც მმართველი წრეების ისე საკუთრივ მუსლიმურ სამღვდელოების მიერ ხელახლა გადაფასებულიყო.

ავღანეთში 50-იან წლებში კულტის მსახურებს შორის შეიმჩნეუდა გარკვეულ ფენებად დაშლა. მაგალითად, გამოჩნდნენ „ისლამური მოდერნისტების“ ჯგუფები, რომლებიც გამოდიოდნენ მრავალი მოძველებული დოგმების განახლებისათვის, რათა ისინი შეესაბამებინათ დროის მოთხოვნებისათვის.

მხოლოდ ერთობლივი მოქმედებები მუსლიმური სამღვდელოებისა და ტომების ფეოდალურ-არისტოკრატიული ზედა ფენისა ავღანეთის ოპოზიციურ მოძრაობას ანიჭებენ მნიშვნელოვან ძალას; ტომების მხარდაჭერის გარეშე სამღვდელოების გამოსვლა მთავრობას არავითარ საფრთხეს არ უქმნიდა“. ავსტრალიელი მკვლევარის ბ. მეილის ამ საყურადღებო დასკვნამ თავისი აქტუალობა არ დაკარგა დღესაც, ავღანეთის რესპუბლიკაში შექმნილი მდგომარეობის შუქზე, სადაც სამღვდელოების მემარჯვენე ფრთა ფეოდალურ-ტომობრივ არისტოკრატიასთან ერთად აქტიურად, შეიარაღებული გზით საკუთარი პრივილეგიების რესტავრაციისათვის ახალ მთავრობას ებრძვის (6:88).

ტომობრივი არისტოკრატის შესაძლებლობანი ძალზე მნიშვნელოვანია, რადგან ტრადიციულად ავღანეთის ტომებს კანონით იარაღის ტარების უფლება აქვთ. ისტორიას ახსოვს მრავალი მაგალითი იმისა თუ როგორ რიცხოვრივად

აღმატებოდა ტომების ლაშქარი ცენტრალური ხელისუფლების რეგულარულ შეიარაღებულ ძალებს.

60-იანი წლების მეორე ნახევარში ქვეყანაში ისლამური მოდერნიზაციის განვითარების ხარისხობრივად ახალი ეტაპი შეიმჩნეოდა. ეს ეტაპი უშუალოდ დაკავშირებულია დემოკრატიული მოძრაობის აღმავლობასთან, რომელსაც სათავეში ედგა ავღანეთის სახალხო-დემოკრატიული პარტია. ხსენებული პარტია ავღანეთში ეროვნულ-დემოკრატიული მთავრობის შექმნის საფუძველზე მოითხოვდა ფართო სოციალური გარდაქმნების განხორციელებას და ქვეყნის არაკაპიტალისტური გზით განვითარებას.

საბჭოთა და უცხოურ წყაროებში მოტანილია მრავალი ფაქტი ავღანეთის საშინაო საქმეებში დასავლეთის ჩარევის შესახებ 1978 წლის აპრილის რევოლუციის შემდეგ.

აშშ-ის კომუნისტური პარტიის გენერალური მდივანი გეს ჰოლი აღნიშნავდა: „აშშ-ის იმპერიალიზმი ავღანეთის წინააღმდეგ განხორციელებული ყველა აქციით სამ კონკრეტულ მიზანს ისახავს: 1. ეროვნულ-დემოკრატიული რევოლუციის მსვლელობის შეჩერება და ძველი ფეოდალური საზოგადოების აღდგენა; 2. ავღანეთის ანტისაბჭოურ პლაცდარმად გადაქცევა; 3. ირანისა და „ოპეკის“ სხვა ქვეყნების წინააღმდეგ ოპერატიული ბაზის შექმნა, რათა „ეკსონ-ის“, „გალფ-ისა“ და „შელის“ ნავთობის კომპანიების ინტერესები დაიცვას“.

ქვეყნის შიგნით და მის ფარგლებს გარეთ მოქმედი რეაქციული ძალები ფარავდნენ თავიანთ კონკრეტულ მიზნებს დაეწყოთ პროპაგანდისტული მოღვაწეობა, რათა „გადაერჩინათ“ ავღანეთში „ჩაგრული ისლამის სული მარქსისტულ-ათეისტური რეჟიმისაგან“. ამასთან დაკავშირებით საჭიროა აღინიშნოს, რომ ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის პოზიცია ისლამის მიმართ დასაწყისიდანვე ნათელი და გასაგები იყო. მაგალითად, ავღანეთში სახალხო რეჟიმის დამყარების შემდეგ სულ მალე, 1978 წლის 9 მაისს გამართულ პრეს-კონფერენციაზე, ნ. მ. თარაკიმ განაცხადა: „ ჩვენ საქმით და არა

სიტყვით პატივს ვცემთ ისლამის პრინციპებს და არავის არ ვუშლით რელიგიური რიტუალების შესრულებას. ამ თვალსაზრისით, ჩვენს წინააღმდეგ მძლავრი მტრული პროპაგანდა ხორციელდება. ჩვენი ერი მუსლიმური ერია და ჩვენ ვემსახურებით საკუთარ ერს“(5:95).

1979 წლის სექტემბერში ჰაფიზულა ამინის მიერ ხელისუფლების უზურპირების შემდეგ მან დაიწყო დევნა რელიგიური პირებისა, ჭეშმარიტი პატრიოტული ძალებისა, ფიზიკურად სპობდა აპრილის რევოლუციის საუკეთესო კადრებს. დღეს ხუთი მილიონი ავღანელი ცხოვრობს ქვეყნის ფარგლებს გარეთ, ეს უშუალოდ ჰ. ამინის ყოვლად გაუმართლებელმა დევნამ გამოიწვია. ამიტომ უნდა განვლოს კიდევ რამდენიმე წელმა, რათა ავღანელ დევნილთ დაუბრუნდეთ ნდობა ეროვნული მთავრობისადმი.

3. ამინმა განკარგულება მისცა, რათა სკოლებში და უმაღლეს სასწავლებლებში ისლამის სწავლა აეკრძალოთ. მოლებსა და მეჩეთებს ჩამოართვა მიწები, რის შედეგადაც სოფლის სასულიერო პირები არსებობის წყაროს გარეშე დარჩნენ. ახალგაზრდა ავღანელს, რომელიც გადაწყვეტდა შესულიყო „სტუდენტურ-დემოკრატიულ ორგანიზაციაში“, სახლიდან უნდა მოეტანა ყურანი და საჯაროდ დაეწვა. ასევე ჰ. ამინის ბრძანებით მეჩეთების გუმბათებზე აღმართავდნენ ავღანეთის სახალხო-დემოკრატიული პარტიის წითელ ალამს, ხოლო მის კედლებზე წერდნენ ანტირელიგიურ ლოზუნგებს, რომელიც აბსოლუტურად არ ესმოდა უბრალო, გაუნათლებელ და ღვთისმოსავ ავღანელს. 600 სასულიერო პირი დახვრიტეს. მხოლოდ პროვოკაცია შეიძლება ვუწოდოთ ამინის გამონათქვამს საკუთარ ღვთისმოსავ ხალხზე: „ჩვენ ცუდი ხალხი გვყავს, ბნელი და გაუნათლებელი. სავსებით საკმარისია ხუთი მილიონი, რათა ქვეყანაში ავაშენოთ სოციალიზმი“. ცხადია, ასეთი განცხადებით იგი სოციალიზმს მხოლოდ დათვურ სამსახურს უწევდა.

ბუნებრივია, ამის შემდეგ მოლებმა დაიკავეს უკიდურესად უარყოფითი პოზიცია ახალი მთავრობის მიმართ. რევოლუციის მტრებმა კი უმაღლვე წამოაყენეს

დემაგოგიური ლოზუნგი: „ჩვენ ვიღწვით არა მიწების, საკუთრების და პრივილეგიების დაბრუნებისთვის, არამედ ვიბრძვით ისლამური ავღანეთისთვის. სოციალისტურ ავღანეთში რელიგიისათვის ადგილი მიჩნეული არ არის“. (5:112)

დღესაც ავღანეთის რესპუბლიკაში მოქმედი ოპოზიციური ექსტრემისტული დაჯგუფებები ანალოგიური მოწოდებებით გამოდიან. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ისლამური ოპოზიციური დაჯგუფებები ორგანიზაციულ და პოლიტიკურ-იდეოლოგიურ დაქსაქსულობას განიცდიან. მათ შორის გამოიყოფა „მოდერნისტული“ (ფაქტიურად პროდასავლური) დაჯგუფებანი, მაგალითად, „ავღანეთის განთავისუფლების ეროვნული ფრონტი“, რომელსაც სათავეში უდგას სეზატოლა მოჯადედი, ასევე „ავღანეთის ისლამური რევოლუციის ეროვნული ფრონტი“ (ლიდერია სეიდ აჰმადი). ამ უკანასკნელის ლიდერმა დასავლეთის კორესპონდენტებს განუცხადა, რომ მის მომხრეებს „სჯერათ დემოკრატიისა და მოდერნიზაციის“. არსებობენ აგრეთვე ფუნდამენტალისტთა დაჯგუფებებიც, რომელთა მიზანია ისლამური თეოკრატიული რეჟიმის დამყარება. მათ რიცხვს განეკუთვნება „ავღანეთის ისლამური საზოგადოება“ (ხელმძღვანელია ბორჰანედინ რაბანი) და „ავღანეთის ისლამური პარტია“, რომლის ლიდერია გულბედინ ჰექმათიარი. ამ უკანასკნელმა, თავისი პოლიტიკური პოზიცია შემდეგნაირად განსაზღვრა: „ჭეშმარიტი სისტემა იყო დადგენილი თოთხმეტი საუკუნის წინ, და ნებისმიერი სხვა, მისგან განსხვავებული რეჟიმი მიუღებელია“. (5:96)

როგორც ვხედავთ, ოპოზიციური ძალების ფართო სპექტრში, რომლებიც იბრძვიან ავღანეთის დღევანდელი მთავრობის წინააღმდეგ „ისლამის დაცვის“ ლოზუნგით, არსებობენ ისეთი დაჯგუფებებიც, რომელთა იდეოლოგიური პლატფორმა 60-იანი წლების „ძმები მუსლიმების“ იდეური შეხედულებებისაგან ნაკლებად განსხვავდება. როგორც ცნობილია, „მათი მესამე გზის“ ფეოდალურ-კონსერვატიული კონცეფციები ხასიათდებიან უკიდურესი შეურიგებლობით არა მარტო სოციალისტური იდეებისადმი, არამედ ნებისმიერი ბურჟუაზიულ-დემოკრატიული გარდაქმნების მიმართაც. ამიტომ შემთხვევითი არ არის, რომ

ისლამური პოლიტიკური დაჯგუფების უკიდურესად კონსერვატიულმა ლიდერებმა ქვეყანა დატოვეს და ემიგრაციაში წავიდნენ ჯერ კიდევ პრეზიდენტ მ. დაუდის დროს, რომლის ზომიერ რეფორმებს ისინი ძალზე რადიკალურად მიიჩნევდნენ. სწორედ მათ რიცხვს მიეკუთვნებიან გულბედინ ჰეკმათიარი და ბორჰანედინ რაბანი.

ავღანეთის მთავრობის მიერ ეროვნული შერიგების პოლიტიკის ცხოვრებაში გატარების საქმეში არის როგორც წარმატებები, ასევე პრობლემებიც. ამიტომ ნიშანდობლივია, რომ ქვეყანაში ეროვნული შერიგების შესახებ გამოქვეყნებული დეკლარაცია იწყება სიტყვებით: „სახელითა ღვთისითა მოწყალისა და მწყალობელისა! ყველა მუსლიმი ერთმანეთის ჭეშმარიტ ძმებად ითვლებიან, შეარიგეთ ერთმანეთს ძმები“. აქვე აღნიშნულია, რომ ძმთამკვლელი ომის შედეგად იღვრება სისხლი, იღუპებიან უდანაშაულო ადამიანები, იწვის მეჩეთები. „ყველაფერი ეს ეწინააღმდეგება წმინდა ყურანში და შარიათის კანონებში აღნიშნულ პრინციპებს. ალაჰი და ყურანი მოუწოდებს მუსლიმებს იცხოვრონ მშვიდობიან პირობებში: „თუ ორი მორწმუნე ერთმანეთს ებრძვის, მაშინ შეარიგე ისინი“ - ნათქვამია ყურანში. (6:201)

ეროვნული შერიგების პოლიტიკა მთლიანად პასუხობს ისლამის პრინციპებს. ამავე დეკლარაციაში ნათქვამია: „ისლამის წმინდა რელიგიის პრინციპების პატივისცემის მიზნით საჭიროა:

- ხალხის უსაფრთხოების და საყოველთაო მშვიდობის უზრუნველყოფა.
- ძმთამკვლელი ომის შეწყვეტა და კონტრრევოლუციის მიერ რევოლუციური ხალხის წინააღმდეგ მიმართულ ინტრიგებსა და შეთქმულებებზე უარის თქმა;
- ქვეყანაში სისხლისღვრის სრული შეწყვეტა;
- ხალხის ბედნიერება და სამშობლოს აყვავება“.

დეკლარაცია მთავრდება სიტყვებით:

„დაე, იყოს მშვიდობა ავღანეთის უძველეს მიწაზე! დაე, სამუდამოდ დადუმდნენ ქვემეხები და უზენაესი ალაჰი იყოს ჩვენი მფარველი“.(5.:116)

ეროვნული შერიგების დეკლარაციიდან მოყვანილი ნაწყვეტები უსაფუძვლოს ხდის ოპოზიციურ ექსტრემისტთა ძალების ავღანეთის მთავრობის მიმართ ბრალდებას, იმის შესახებ, რომ თითქოს ეროვნული შერიგების პოლიტიკა „ეწინააღმდეგება ისლამის პრინციპებს და ხელს აძლევს მხოლოდ ქაბულის რეჟიმს“.

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ 1987 წელს მიღებულ ქვეყნის ახალ კონსტიტუციაში ნათქვამია, რომ ისლამი ქვეყნის სახელმწიფო რელიგიაა.

ავღანეთის არმიის ჯარისკაცებისა და ოფიცრების უმრავლესობა მორწმუნე მუსლიმები არიან. ამიტომ მათი სამსახურის არც თუ ისე მცირე დრო ლოცვებსა და სხვა რელიგიური რიტუალების შესრულებას და სასულიერო პირებთან შეხვედრას უკავია.

ავღანეთის არმიაში ოდითგანვე მოლების ინსტიტუტი არსებობს. დღეს შეიარაღებული ძალების სამღვდლოების წინაშე ორი მნიშვნელოვანი ამოცანა დგას. ჯერ ერთი, ჯარისკაცებისა და ოფიცრების ქვეყნის კონსტიტუციით მინიჭებული უფლებების დაცვა, რაც გამოიხატება იმაში, რომ სამხედრო სამსახურში მყოფმა პირმა აუცილებლად და სრულყოფილად შეასრულოს რელიგიური ადათ-წესები. მეორე, მოახდინონ მოწინააღმდეგის მტრული პროპაგანდის ნეიტრალიზება, რათა არ შესუსტდეს ავღანეთის შეიარაღებული ძალების მეომრების მორალური სულისკვეთება.

დღეს შეიარაღებული ძალების სამხედრო ნაწილებში სამი კატეგორიის მოლები არიან. მაგალითად, ასეულში რელიგიურ რიტუალებს წარმართავს ჯარისკაცების ერთ-ერთი ამხანაგი, რომელსაც, ცხადია, დაწყებითი სასულიერო განათლება მაინც უნდა ჰქონდეს. იგი ხელფასის ზემოთ, განსაზღვრულ დანამატს ღებულობს. ზურგში მყოფ სამხედრო ნაწილებში მოლებს დროებით იწვევენ ერთიდან სამ წლამდე. მათ ანიჭებენ უმცროსი ლეიტენანტის წოდებას და ნაწილში

მუშაობის პერიოდს სამხედრო სამსახურის მოხდაში უთვლიან. შეიარაღებულ ძალებში არსებობენ არმიის უმაღლესი რანგის მოლებიც ე. წ. „მოლები - იმამები“, რომლებიც მსახურობენ პოლკებში, დივიზიებში და კორპუსებში. ისინი ოფიცრები არიან და მუდმივად თანამდებობა უკავიათ. სამხედრო ნაწილების მოლების მუშაობის კოორდინირებას ახორციელებს რელიგიის საკითხების სამმართველო, რომელიც ავღანეთის რესპუბლიკის არმიის მთავარ პოლიტიკურ სამმართველოსთან არსებობს. ამ სამმართველოში მოქმედებს მოლების სააგიტაციო ჯგუფი, რომელიც რეგულარულად აწყობს სასემინარო და სალექციო მეცადინეობას, საშინაო და საგარეო მოვლენების საკითხებზე გამოცემულ მეთოდურ სახელმძღვანელოებს ავრცელებს სამხედრო ნაწილებში.

და მაინც არმიაში სასულიერო პირები კონკრეტულად რით არიან დასაქმებულნი? ჯარისკაცები პოლკის მეჩეთებში დღეში ხუთჯერ ასრულებენ ნამაზს. პოლკის მოლა კვირაში ორჯერ ეროვნული შერიგების პოლიტიკის, ჟენევის შეთანხმების შესრულების თემაზე ასრულებს ქადაგებას, საუბრობს მიმდინარე მოვლენებზე, მაგალითად, ავღანეთის სახალხო-დემოკრატიული პარტიის პლენუმზე და ა.შ. მოლები ყველა თემას რელიგიის თვალსაზრისით აშუქებენ. სასულიერო პირები სამხედრო ნაწილებში გამოსვლისას გმობენ დეზერტირობას, მოუწოდებენ იარაღისადმი სათუთ მოპყრობას და სამხედრო ტექნიკის გამოყენების დაუფლებას. „როგორც ტექნიკა, ასევე იარაღი ეკუთვნის სახელმწიფოს, ხოლო ამ სახელმწიფოს მოქალაქეები მუსლიმები არიან. ამიტომ ყველაფერი ეს გეკუთვნით თქვენ, ჯარისკაცებო“ - ამბობს მოლა.(5:118)

ავღანეთში ვითარების ახალ გამწვავებას ადგილი ჰქონდა 1990 წლის მარტის დასაწყისში, როდესაც ქვეყნის ყოფილმა თავდაცვის მინისტრმა შაჰნავაზ თანაიმ დააპირა სამხედრო გადატრიალების განხორციელება. უნდა აღინიშნოს, რომ ქვეყანაში სამხედრო გადატრიალების მცდელობა მოულოდნელი არ იყო. დედაქალაქში განლაგებული ავღანეთის რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების ნაწილების გაბედული მოქმედების შედეგად თანაის მომხრეთა მიერ სამხედრო

გადატრიალების ცდა აღიკვეთა. რაც შეეხება, შაჰნავაზ თანაის, იგი პაკისტანში გაიქცა.

ავღანეთში ვითარების სტაბილიზაციაში დიდ როლს ასრულებენ რელიგიური მსახურნი, რომელთათვისაც ქვეყანაში და, კერძოდ, ქ. ქაბულში დაარსებულია ისლამური კვლევის ცენტრი და ისლამური აკადემია. მთავრობა ყოველწლიურად საკმაოდ დიდ თანხას ხარჯავს მორწმუნეთა საჭიროებისათვის. მექაში მიმავალი ავღანელი პილიგრიმებისათვის მთავრობამ გამოყო 14 მლნ. ავღანი. უკანასკნელი რამდენიმე წლის განმავლობაში მთავრობამ პილიგრიმებისათვის დოტაციების სახით 722 მლნ. ავღანი გამოყო. აპრილის რევოლუციის გამარჯვების შემდეგ, სახელმწიფომ რელიგიური საჭიროებისათვის უკვე დახარჯა 1,2 მლრდ. ავღანი, აქედან უკანასკნელი ოთხი წლის განმავლობაში მეჩეთების ასაშენებლად დახარჯულია 270 მლნ. ავღანი. სახელმწიფომ ააშენა 114 ახალი მეჩეთი, რესტავრირებულია - 1026. გარდა ამისა, 12 ულემი და კულტის სხვა მსახური არჩეულია ავღანეთის რესპუბლიკის რევოლუციური საბჭოს წევრად, ამასთან, ზოგიერთ მათგანს მინისტრის თანამდებობაც უკავია. სახელმწიფომ ქაბულის პროვინციაში მეჩეთების აშენებისა და რესტავრაციისათვის დახარჯა 2,4 მლნ. ავღანი. მაზარი-შარიფში და სხვა ქალაქებში აშენებულია ახალი მეჩეთები.

სასაზღვრო ნაწილების მთავარი მოლა მოულავი აბდელ მალექი თავის ერთ-ერთ ქადაგებაში აღნიშნავდა: „რევოლუცია განხორციელდა ისლამისათვის და არა მისი მოსპობისათვის, ისლამი ჩვენს სულშია. ვთავაზობთ მშვიდობას არა ამერიკას ან სხვა ვინმეს, არამედ ჩვენს ძმებს. ალაჰმა გვიანდერძა: „მუსლიმებო თანხმობით იცხოვრეთ“.

რელიგიის მსახურნი ლოცულობენ, რათა ჯარისკაცებმა დაამარცხონ მტრები და ამით ისინი ცდილობენ აამაღლონ ჯარისკაცების მორალური სულისკვეთება, უსახავენ მათ რწმენას გამარჯვებაში.

უკანასკნელ ხანს ავღანეთში პოლიტიკური ვითარება მნიშვნელოვნად შეიცვალა. კერძოდ, ქვეყანაში გაუქმდა საგანგებო ვითარება, პარლამენტს

მთლიანად დაუბრუნდა მისი უფლებამოსილებანი. არსებითი ცვლილებანი შეტანილია ქვეყნის კონსტიტუციაში, რომლის პრეამბულიდან ავღანეთის სახალხო-დემოკრატიული პარტიის პრივილეგირებული როლი ამოღებულია. ქვეყანაში მკვიდრდება როგორც პოლიტიკური, ასევე ეკონომიკური პლურალიზმი, რომელიც მოიცავს თავისუფალ ბაზარს, ფართო შესაძლებლობებს უქმნის კერძო სექტორის განვითარებას, უცხოური კაპიტალის მიზიდვით. ავღანეთის სახალხო-დემოკრატიულ პარტიას, ამჟამად, ეწოდება სამამულო პარტია, რომლის საპროგრამო დოკუმენტები პასუხობენ ავღანეთის საზოგადოების ყველა ფენის ინტერესებს და მიმართულია ეროვნული შერიგების პოლიტიკის ამოცანების განხორციელებისაკენ.

თავი 3. რეგიონალური უსაფრთხოების პრობლემები ავღანეთში

3.1. ამერიკის სტრატეგია ავღანეთში 1979-1989 წლებში

სსრკ-ს, როგორც მსოფლიოში მეორე ძალის გაქრობის შედეგად აშშ-ს გაუჩნდა შესაძლებლობა გაეფართოვებინა „სასიცოცხლო ინტერესების სფერო“. სსრკ-ს „გამოცდილება“ 1980-იანი წლების ავღანეთში აშშ-ს და მისი მოკავშირეებისთვის არ კარგავს აქტუალობას, დაფარულად განახორციელონ თავიანთი მიზნები.

აშშ-ს საიდუმლო სტრატეგიის ძირითადი მიზანი წარმოადგენდა საიდუმლო სპეციალური სამსახურების და ადმინისტრაციის ბრძოლას სხვა სოციალურ-პოლიტიკური სისტემის ქვეყნების წინააღმდეგ.

აშშ-მ და მისმა დაზვერვამ ითამაშა დიდი როლი, ჯერ ურთიერთობის გაფუჭების და შემდგომ საბოლოოდ გაწყვეტის სსრკ-ს და ავღანეთს შორის, რომელიც ხორციელდება 1978 წლამდე. მათ ძალიან ეფექტურად გამოიყენეს სსრკ-ს და ავღანეთის მთავრობების შეცდომები, მიაყენეს უდიდესი პოლიტიკური, ეკონომიკური და სამხედრო ზარალი 1980 წლებში. ამან საშუალება მისცა აშშ-ს განეხორციელებინა ღიად თავისი მიზნები მის საზღვრებს გარეთ. 1947 წლის ნაციონალურმა კანონმა საბოლოო სახე მიიღო, როგორც XX საუკუნის კანონმა, ძირითადად საიდუმლო ორგანიზაციების სამართავმა დოკუმენტმა.

ამ კანონის მიხედვით საიდუმლო ოპერაციები სხვა ქვეყნებში მტკიცდებოდა პრეზიდენტის და ეროვნული უშიშროების საბჭოს მიერ. თითქოსდა ეს აყენებდა დაზვერვის ორგანოებს განსაზღვრულ ჩარჩოში. მიუხედავად ამისა, რიგი კანონგარეშე აქტისა, როგორცაა საიდუმლო დირექტივა (HB 10/2 1948 წ) აძლევდა უფლებას დამოუკიდებლად განეხორციელებინა CIA-ს (ამერიკის ცენტრალური სადაზვერვო სამსახური) საიდუმლო ოპერაციები საზღვარგარეთ. არსებითი წარმოდგენა იმისა, რომ სენატის კომიტეტები და კონგრესი აკონტროლებდა საიდუმლო ოპერაციებს, ხორციელდებოდა ნაწილობრივ, რადგან პარლამენტს

უფლება არ ქონდა აკრძალა ან შეეწყვიტა CIA-ს საიდუმლო ოპერაციები საზღვარგარეთ. მისი აკრძალვის უფლება ქონდა მხოლოდ პრეზიდენტს.

ნაციონალური უსაფრთხოების არქივის მეცნიერ თანამშრომელი და საერთაშორისოდ აღიარებული ექსპერტი ჯეფრი რიჩელსონი თვლის, რომ საიდუმლო ოპერაციების მიზანი იყო: სახელმწიფო, საზოგადოებრივ და პოლიტიკურ მოღვაწეებზე გავლენის მოხდენა; აშშ-ის სასარგებლო საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბება საზღვარგარეთის ქვეყნებში; ფინანსური, მატერიალური, ტექნიკური, აგრეთვე შეიარაღებით და საბრძოლო მასალით მომარაგება პარტიებისთვის, ორგანიზაციებისთვის, ფირმებისთვის და ცალკეული მხარეებისთვის, რომელთა მოქმედება პასუხობდა აშშ-ს სახელმწიფო ინტერესებს; პროპაგანდის ღონისძიებები; ეკონომიკური ღონისძიებები; პოლიტიკური და ნახევრად სამხედრო აქტები სხვადასხვა ქვეყნების რეჟიმების დასახმარებლად ან ჩამოსაგდებად; ცალკეული პირების ფიზიკური ლიკვიდაცია.

სხვადასხვა საინფორმაციო წყაროების ანალიზის მიხედვით მტკიცდება, რომ 1970-1980 წლებში ავღანეთში აშშ-ს დაზვერვამ და მისმა მოკავშირეებმა დაგეგმეს და განახორციელეს რიგი მსხვილი საიდუმლო ოპერაციები, რომლებიც შეიძლება დავყოთ შემდეგ ჯგუფებად.

1. ოპერაცია - ინფორმაციის შეგროვება ავღანეთში სსრკ-ს სამხედრო ძალების რაოდენობის, გეგმების და განხორციელებული ღონისძიებების შესახებ.
2. ოპერაცია - კომპრომეტაცია სსრკ-ს შიდა პოლიტიკის და კავშირების განვითარებადი ქვეყნების მიმართ.
3. ოპერაცია - ახალი საბჭოთა შეიარაღების ნიმუშის და სამხედრო ქონების ხელში ჩაგდება.
4. ოპერაცია - საომარი მოქმედების გადატანა სსრკ-ს შუა აზიის ნაწილში ფუნდამენტალისტური ისლამისტების მიერ.

საიდუმლო სადაზვერვო ქსელის არქონის შემთხვევაში შეუძლებელი იქნებოდა ავღანელი მოჯაჰედების იარაღით მომარაგება. მითუმეტეს კონფლიქტის დასაწყისში, როდესაც აშშ მალავდა მის დაინტერესებას და მონაწილეობას მასში. ამიტომ აშშ-ს დაზვერვა და მისი მოკავშირეები განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდნენ ვერბალური ოპერაციების რეალიზაციას როგორც მოჯაჰედებში ისე სახელმწიფო და პარტიულ სტრუქტურებში.

აგრეთვე მნიშვნელობას წარმოადგენდა საბჭოთა სამხედროების ტყვეობაში აყვანა და მათი სსრკ-ს წინააღმდეგ გამოყენება. სამხედრო ბაზების შექმნა სსრკ-ს საზღვართან, სხვადასხვა აქციების განსახორციელებლად სსრკ-ს ტერიტორიაზე. აგენტურა აუცილებელი იყო ინფორმაციების შესაგროვებლად, დივერსიების განსახორციელებლად, გავლენის მოხდენის ოპერაციებისთვის.

გამომდინარე იქედან, რომ მთავარი ყურადღების ობიექტი იყო სსრკ და კონკრეტულად მისი სამხედრო კონტიგენტი ავღანეთში, მდგომარეობა მოითხოვდა ამომწურავ ინფორმაციას საბჭოთა ჯარებზე და მისი ხელმძღვანელობის გეგმებზე. ერთ-ერთი მსხვილი სადაზვერვო ოპერაცია იყო განხორციელებული CIA-ს მიერ, რომელშიც მონაწილეობდნენ აშშ-ს თავდაცვის სამინისტროს სადაზვერვო სამმართველო და ნატოს მოკავშირეების სპეციალური სამსახურები, მათ მიზნებში შედიოდა ზოგადი ინფორმაციის შეგროვება ავღანეთის საზღვართან სსრკ-ს საჯარისო ნაწილების თავმოყრის შესახებ, ქვეყანაში შესვლის მიზნით. ამ დროისთვის მათ ყურადღება გაამახვილეს სატრანსპორტო ქსელებზე და მაგისტრალებზე, გარნიზონებზე, ჰოსპიტალებზე, რომლებიც მდებარეობდნენ ბელორუსიაში, შუა აზიის რესპუბლიკებში, ასტრახანის მხარეში და ჩრდილო-ოსეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში. რის შედეგადაც მათ მაქსიმალური ინფორმაცია მიიღეს კონფლიქტის ზონაში გაგზავნილი საჯარისო ნაწილების შემადგენლობასა და შეიარაღებაზე.

1979-1984 წლებში მნიშვნელოვნად გაიზარდა ამ რეგიონის საელჩოებში ნატოს წევრი ქვეყნების აშშ, გფრ, და საფრანგეთის სამხედრო ატაშეების ვიზიტი.

პაკისტანის დაზვერვის თანამშრომელი მ. იუსუფი მრავალი წლის შემდეგ წერდა, რომ პრეზიდენტმა კარტერმა კარგად იცოდა საბჭოთა ჯარების ავღანეთში შეჭრის მზადება თავისი სპეცსამსახურების მეშვეობით, რომელთაც ინფორმაცია მიიღეს საჰაერო და კოსმოსური დაზვერვიდან. მზვერავი ამბობდა, რომ „სურათებზე, რომლებიც გადაღებულია დიდი სიმაღლიდან, სიზუსტით ჩანს ტანკები, სატრანსპორტო საშუალებები, ხიდები, განადგურებული თავშესაფრები. ფოტოგრაფიით ხდებოდა ინსტრუქტაჟი და იგეგმებოდა ოპერაციები რომელიც მნიშვნელოვნად უადვილებდა საქმეს მოჯაჰედებს. ამის მეშვეობით მე შემეძლო დამეზუსტებინა სარაკეტო დარტყმის სამიზნეები, პარტიზანული პოზიციები მანევრებისთვის. მე შემეძლო CIA-სთვის მომეთხოვა ფოტო კონკრეტული ადგილებისთვის და ძალიან მოკლე ხანში ჩემს ოფისში იდო საჭირო ადგილების და ობიექტების სურათები“.

3. შვეიცარიის მტკიცებით ავღანეთში სპეციალურად დაკორექტირდა ორბიტაზე ერთ-ერთი კოსმოსური სადაზვერვო თანამგზავრი (KN-11). აშშ-ს მთელი ელექტრონული სადაზვერვო სისტემა მიმართული იყო, მიეღო ყოველი ინფორმაცია რაც ხდებოდა ავღანეთში და მის გარშემო.

რამოდენიმე წელიწადში CIA-მ პაკისტანის სპეცსამსახურების მონაწილეობით შექმნა სადაზვერვო სისტემა ავღანეთში. ის კონტროლდებოდა მკაცრად CIA-ს მხრიდან აშშ-ს ადმინისტრაციის მხარდაჭერით. უამრავი მიღებული ინფორმაციიდან რეალური ინფორმაციის გამორჩევა მათ გარეშე შეუძლებელი იქნებოდა. მათ საქმიანობაში ჩართული იყვნენ საჰაერო-კოსმოსური დაზვერვის სტრუქტურები, CIA-ს რეგიონალური შტაბ-ბინა ისლამაბადში, რეზიდენტურები ქაბულში, დელიში, რომში და სხვა ქვეყნების დედაქალაქებში. CIA-ს უმაღლესი ორგანოები კორდინირებას უწევდნენ მუშაობას ე.წ. „ავღანეთის ხაზს“ სხვადასხვა ქვეყნის მთავრობებს და უწყებებს შორის.

აშშ-ს მიერ გატარებულმა აქტიურმა სადაზვერვო საქმიანობამ და აქციებმა სსრკ-ს შიდა პოლიტიკის და განვითარებად ქვეყნებთან კავშირის

კომპრომიტირებამ გამოიწვია სამხედრო-პოლიტიკური კრიზისი ავღანეთში, რომელიც აისახა საერთაშორისო სავაჭრო, პოლიტიკურ და ეკონომიკურ კავშირებზე საზღვარგარეთის ქვეყნებთან (ე.წ. მესამე სამყაროს ქვეყნებთან).

პროპაგანდა შეადგენდა ძირითად იარაღს ქვეყნის საერთაშორისო არენაზე კომპრომიტირებისათვის. ყოველდღიურ ინფორმაციებში გაურიეს ძველი, ჯერ კიდევ დიდი ბრიტანეთის დროინდელი ექსპანსია სამხრეთ აზიაში და შუა აღმოსავლეთში პროპაგანდისტული შტამპები „რუსული დათვი მიიწევს ინდოეთის ოკეანისკენ“, „ავღანეთის დამოუკიდებლობის დაკარგვის საფრთხე ჩრდილოეთიდან“, „საშიშროება ჩრდილოეთიდან“, და ა.შ.

ავღანეთის სიტუაციის გამოყენების დაინტერესებამ აშშ-ს მისცა უნიკალური შანსი პროპაგანდით მხარი დაეჭირა ავღანეთის ოპოზიციისთვის, მოჯაჰედებისთვის სამხედრო და პოლიტიკური მხარდამჭერი ინტერნაციონალიზაცია. აშშ-ს პროპაგანდის ამოცანა იყო ეჩვენებინა მსოფლიოსთვის სსრკ-ს „აგრესიული“ თვისება, რომელიც თავის მიზანს ყოველი საშუალებით მიაღწევს. ამასთანავე მართლდებოდა აშშ-ს აქციები ვიეტნამში, გრენადაში, ნიკარაგუაში, ჩილეში და სხვადასხვა რეგიონებში.

მტკიცება იმისა, რომ მხოლოდ აშშ-ს დაზვერვა მოქმედებდა საზღვარგარეთ არ არის სწორი, აქ იყო ჩართული ნატოს ბევრი წევრი ქვეყანა. აშშ-მ ინიცირება, სტიმულირება და კოორდინირება გაუწია საერთო საიდუმლო ოპერაციას. ამ ოპერაციის ელემენტებს შეადგენდნენ: ჟურნალისტების აგენტებად გამოყენება, საჭირო ინფორმაციის გამუქება პრესაში, რადიოში, ტელევიზიაში. აგენტურის ქმედებით იქნა ინიცირებული ღონისძიებები, მაგალითად მოსმენები ავღანეთის საკითხზე სხვადასხვა ქვეყნის პარლამენტებში, საერთაშორისო, რეგიონალურ, ნაციონალურ და სხვადასხვა კომიტეტებში და ორგანიზაციებში. გამოფენების მოწყობა, პრესკონფერენციები, ემიგრანტი ავღანური ორგანიზაციების მიერ მიტინგების და დემონსტრაციების მოწყობა, აგრეთვე სსრკ-ს და ავღანეთის წარმომადგენლობაზე თავდასხმა.

1985 წლისთვის აღანეთში გადაიციმდა 50-ზე მეტი უცხოური რადიო-სადგურის გადაცემები. მათი მაუწყებლობა კვირაში 200 სთ-ს აღწევდა. პაკისტანის ტერიტორიიდან მოქმედებდა CIA-ს მიერ შექმნილი „თავისუფალი ქაბულის რადიო“ 11 სტანციონალური გადამცემებით, რომლებიც განლაგებული იყვნენ ავღანეთ-პაკისტანის საზღვარზე. ყოველდღიურად პუშტუს და დარის ენებზე გადაცემები მიყავდათ „ამერიკის ხმა“, „თავისუფლება“ და „თავისუფალი ევროპა“. ქალაქებში ლახორში და პეშავარში მოქმედებდნენ „მობილური ინფორმაციული ცენტრები“ რომელთა ამოცანა იყო სსრკ-ს და ავღანეთის მაკომპრომეტირებელი მასალების შექმნა. ლტოლვილთა ბანაკებში და მოჯაჰედების მომზადების ცენტრებში იგზავნებოდნენ სპეციალურად მომზადებული დასავლელი ჟურნალისტები. რამოდენიმე შემთხვევაში CIA აგენტებს ჟურნალისტების სახით აგზავნიდა ავღანეთში. ერთ-ერთი იყო მაიკლ ბერი. 1985 წელს მისი შეკვეთით ჰელმანდის პროვინციის კიშლაკ იაჩხალში (სოფელი) მოაწყვეს ხელოვნური ფოტოგადაღება, ბანდფორმირებებმა, რომლებიც გადაცმულნი იყვნენ ავღანეთის არმიის ფორმებში გადაწვეს სახლები. განასახიერებდნენ ავღანეთის არმიის „სიმხეცეს“, კლავდნენ ან ცოცხლად აგდებდნენ ცეცხლში კოოპერატივის აქტივისტებს და მოხალისეებს - რევოლუციის დამცველებს, ამასთანავე ერთ-ერთი ხმის ოპერატორი „ტელეჟურნალისტი“ ძალით იღებდა ჩვენებებს ცოცხლად დარჩენილებისგან „როგორ ექცევა ავღანეთის არმია დაუმორჩილებელ ავღანელებს“.

ანტისაბჭოთა პროპაგანდის ნაწილად განიხილებოდა აგრეთვე მოჯაჰედების საბჭოთა არმიის ფორმებში გადაცმა და მშვიდობიანი მოსახლეობის აწიოკება, ანდა საფრენი აპარატების შენიღბვა საბჭოთა ნიშნებით. მოჯაჰედების დაბომბვა და შემდეგ ფილმების გადაღება და მონტაჟი თუ როგორ უსწორდება სსრკ ავღანელ ხალხს.

აგრეთვე ფოტოგამოფენების მოწყობა მსოფლიოს სხვადასხვა ქალაქში, რუბრიკით „რუსების მხეცობა ავღანეთში“. პრესკონფერენციების მოწყობა „ფრიდომ

ჰაესის“ ოფისში, ნიუ იორკში ავღანეთის ოპოზიციის ტყვეობაში მყოფი საბჭოთა სამხედრო მოსამსახურით. დასავლეთის საინფორმაციო საშუალებებში „საბჭოთა სისასტიკის მოწმის“ გამოსვლა მომზადებული ტექსტით. აშშ-ს სპეცსამსახურების ძირითად მოვალეობას შეადგენდა საბჭოთა შეიარაღების ინფორმაციის მიღება. ახალი იარაღის ნიმუში ყოველთვის დიდ ინტერესს იწვევდა მოწინააღმდეგეში. ომი წარმოადგენდა იდეალურ საშუალებას მოკლე ხანში მისი მიღებისა. ომი საშუალებას იძლეოდა გამოეცადათ ახალი იარაღი რეალურ სიტუაციაში, სამეცნიერო-გამომგონებლურ ინსტიტუტებს საშუალება ეძლეოდათ შეესწავლათ ახალი იარაღის დადებითი და უარყოფითი თვისებები, მათი სრულყოფისათვის. საბჭოთა კავშირს დიდი ხნის განმავლობაში არ უწარმოებია ფართომასშტაბიანი საბრძოლო მოქმედებები, ამიტომ ავღანეთი ფაქტიურად გადაიქცა პოლიგონად, სადაც გამოიცდებოდა საბრძოლო ტექნიკა და შეიარაღება მშრალ და ცხელ კლიმატში.

„ნადირობის“ ობიექტი გახდა ავტომატი „კალაშნიკოვი“ AK-74, ზომით პატარა და მსუბუქი, ვიდრე 1947 წლის მოდელი. მისი კალიბრია 5,45 მმ, რომლის ტყვიაც მიზანში მოხვედრისას სხეულში უმართავად მოძრაობს, აზიანებს ორგანოებს ბევრი გამავალი ჭრილობით. მოჯაჰედების მიერ პირველი მოპოვებული AK-74 CIA-სთვის იქნა მიყიდული 5000 დოლარად. 1987 წ. დასავლეთ გერმანულმა დაზვერვამ მოიპოვა საბრძოლო ტექნიკის და მასალის რამოდენიმე ნიმუში. CIA-მ თხოვნით მიმართა თანამშრომლობაზე, მათ მიღებაზე, კონკრეტულად ტანკსაწინააღმდეგო მართვადი რაკეტის ნიმუშზე.

შესაძლებლობის გაჩენის, ფულის გაკეთებისა და იარაღის მიყიდვით დასავლელ მფარველებზე, მოჯაჰედებმა აქტიურად დაიწყეს ხელში ჩაგდებული იარაღით ვაჭრობა: ჯავშანჟილეტის ნაწილები, ელექტრონული მოწყობილობები, გასაშიფრი მანქანები, ტანკის მუხლუხები, ბინოკლები. განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენდა შვეულმფრენი MI-24. მის ნარჩენებს აგროვებდნენ და ყიდდნენ ნაწილ-ნაწილ.

1985 წელს ავღანელმა მფრინავებმა მოაწყვეს გაქცევა და პაკისტანში გაიტაცეს ორი MI-24, მოგვიანებით გაიტაცეს კიდევ რამოდენიმე საბრძოლო თვითმფრინავი. ასეთი ნადავლის მყიდველებს წარმოადგენდნენ საერთაშორისო დიპლომატიური წარმომადგენლობის წევრები პაკისტანში, აგრეთვე სპეციალურად მომზადებული აგენტები.

აშშ-ს ამოცანების წარმატებამ ავღანეთში, 1980 წლებში მას საშუალება მისცა გადაჯგუფება მოეხდინა მისი ძალების სხვა ობიექტების მიმართ. ასეთი ობიექტები გახდნენ შუა აზიის საბჭოთა რესპუბლიკები და განვითარებადი ქვეყნები, რომლებიც შედიოდნენ საბჭოთა კავშირის ინტერესის სფეროში.

ამერიკელმა დამკვირვებლებმა ძალიან მალე მიაქციეს ყურადღება ავღანეთის კონფლიქტის მოქმედებას შუა აზიის რესპუბლიკებზე. აგზავნიდნენ მოჯაჰედების ემისრებს, პროპაგანდისტულ და სხვა მასალებს.

აშშ-ს არ შეეძლო არ შეეტანა მისი ძალისხმევა და კორექტივები საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, შემდეგი სიტუაციის გართულების მიზნით.

CIA საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე მდებარე ობიექტებში შეღწევისთვის იყენებდა ავღანეთის ოპოზიციის ძალებს და საშუალებებს. ამზადებდნენ კადრებს, რომლებსაც ამარაგებდნენ სადაზვერვო საშუალებებით. აქ CIA-ს როლი ძალიან დიდი იყო. ეჭვს არ იწვევს რამოდენიმე ამერიკული წარმოშობის ოპოზიციური მოქმედებების ტაქტიკა აგენტურაში. ოპოზიციის ერთ წევრს აღმოაჩნდა ბროშურა „პრინციპები და წესები აგენტურული კონსპირაციის შესწავლისთვის“. მისი ძირითადი მიზანი იყო აგენტების გაშიფრვა, კონტრდაზვერვისგან დამალვა, შეხვედრა მზვერავებთან და მათთვის ინფორმაციის გადაცემა ადგილობრივი პირობების და მაცხოვრებლების ქცევის გათვალისწინებით. ასეთი დოკუმენტები გააჩნდათ „კონტრ-ასებს“ ნიკარაგუაში. ოპოზიციური ძალები ხშირად იტყობინებოდნენ ინსტრუქტაჟში ევროპული წარმომავლობის პირების მონაწილეობას, ხშირ შემთხვევაში ამერიკელები. მაგალითად აგენტი „ხასანი“ იტყობინებოდა, რომ მის შეხვედრაზე პაკისტანის დაზვერვასთან 1989 წლის

ოქტომბერში პეშავარში წარმოდგენილი იყო ამერიკელი ფსევდოსახელით „მასწავლებელი“. მისი მონაწილეობა ახსნეს იმით, რომ ის მუშაობდა მოჯაჰედების ტერორისტული ჯგუფის შექმნაზე ქაბულში.

1987 და 1988 წ. იანვარში ავღანეთის სახელმწიფო უშიშროების და სსრკ-ს სპეცსამსახურების მიერ აღინიშნა უცხოელი სპეციალისტების მოჯაჰედების ფორმირებებში მონაწილეობა ქვეყნის ჩრდილოეთ რაიონებში. ძირითადად ხდებოდა საბჭოთა კავშირის ტერიტორიის და 66-ე სასაზღვრო ნაწილის ფოტოგადაღება. 117-ე სასაზღვრო ნაწილთან უცხოელები დახმარებას უწევდნენ ადგილის შერჩევაში ბაზების ასაშენებლად. ოპოზიციის მეთაურებს უნდა წამოეწყოთ საბრძოლო მოქმედებები საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე, ობიექტებზე დივერსიების მოწყობით. მოწოდებებში აღინიშნებოდა საზენიტო-სარაკეტო კომპლექსის „სტინგერის“ გამოყენება.

სხვა მთავარ მომენტად, რომელიც ამტკიცებდა CIA-ს მონაწილეობას სსრკ-ს წინააღმდეგ, ამტკიცებდა სპეციალური ცენტრის შექმნა და დაფინანსება, ამერიკელი სპეციალისტების მონაწილეობის მიღება საბრძოლო ჯგუფების მომზადებაში, პეშავართან ბანაკებში „ხორასან 1“ და „ხორასან 2“ , რომელიც შედგებოდა ავღანეთის ჩრდილოეთიდან დევნილებისგან. ეს ყველაფერი გულმოდგინედ იყო შემუშავებული CIA-ს მიერ, 1986 წელს რეალიზირებული თურქეთის, პაკისტანის და საუდის არაბეთის მონაწილეობით. ოპერაციის სახელი იყო „M“, აგრეთვე ამ ოპერაციით განიხილებოდა სადაზვერვო აგენტურის შექმნა სსრკ-ავღანეთის საზღვრის გასწვრივ.

ჯიჰადის გადატანა საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე ასევე შედიოდა ოპერაცია „ფადის“ გეგმებშიც. ამერიკელი სპეცსამსახურების წარმომადგენლები თავაზობდნენ მოჯაჰედებს ტექნიკის შესწავლას, რათა მათ მოეწყოთ მსხვილი დივერსიები რუსეთის დიდ ქალაქებში. CIA-ს ოპერაცია „M“-ში მონაწილეობის შესახებ ინფორმაციამ გამოჟონა ავღანური წყაროსგან. ასევე ჩართეს პაკისტანის და არაბული ქვეყნების სპეცსამსახურები, რითაც ცდილობდნენ მათ კონტროლს ამ

რეგიონში, ესეთი მოქმედება აიხსნება ორი ფაქტორით: 1. ცნობილია აშშ-ს ნეგატიური დამოკიდებულება ისლამის მიმართ. 2. ისლამურ სამყაროში წარმოიქმნა პანი-ისლამური გაერთიანების იდეა. არსებული სიტუაციის შეფასებისას ამერიკული სპეცსამსახურები ხვდებოდნენ, რომ მათზე და მითუმეტეს მოჯაჰედებზე ჩრდ. დაჯგუფებებზე იმედის დამყარება არარეალური იყო გარკვეული მიზეზების გამო.

ამათ შორის შეიძლება დავასახელოთ რელიგიური და ეთნიკური სიახლოვე თურქეთთან. აგრეთვე SSPA (ავღანეთის ჩრდ. პროვინციების კავშირი) იყო პაკისტანის დაზვერვის აგენტურა. გავლენის მოსაპოვებლად „კავშირის“ ხელმძღვანელობაზე CIA-მ აამუშავა ფინანსური შესაძლებლობები. ამასთანავე გადახედა და გადაანაწილა მათი იარაღით მომარაგება. ამერიკელები ფიქრობდნენ მათი გავლენის ხაზის გატარებას. ამერიკელები უცხოური დაჯგუფების შემადგენლობაში (ძირითადად თურქებთან) ჩავიდნენ ჩრდ. ავღანეთში, სადაც პირადად გაეცნენ ა. ბეკის (SSPA-ს მეთაური) შესაძლებლობებს. ისინი გადაადგილდებოდნენ თურქ სპეციალისტებთან ერთად, რადგან ადგილობრივი მოსახლეობა ლოიალურად იყო განწყობილი თურქების მიმართ.

შეიძლება ითქვას ზემოთ კლასიფიცირებული საიდუმლო ოპერაციებით აშშ ცდილობდა სსრკ-ს კონფლიქტში ჩართვას. მ. ს. გორბაჩოვის თანამედროვე და კარგად ინფორმირებული ა. ნ. იაკოვლევი თავის მოგონებებში ამტკიცებს ამას. წიგნის „სამოქალაქო ომი ავღანეთში 1978-2005 წ.“ ავტორებს მაგალითად მოჰყავთ ეს არგუმენტები, მტკიცებულება იმისა, რომ უამრავი მასალა, რომელიც აჩვენებდა როგორ მუშაობდა ამერიკული დაზვერვა სსრკ-ს ხაფანგში მოსაქცევად, KGB-ში გადაიცა უზარმაზარი ცრუ ინფორმაცია, დეზინფორმაცია. მათ შორის ისეთები, როგორცაა: ამინი რეგულარულად სტუმრობს აშშ-ს საელჩოს CIA-ს რეზიდენტურასთან შესახვედრად. ამინი აშშ-ში სწავლის პერიოდში შედიოდა ავღანეთის მიწით მოქმედების სტუდენტობის ხელმძღვანელობაში, რომელსაც CIA აკონტროლებდა. ამინის თანხმობით ქვეყნის ჩრდილოეთით, სსრკ-ს საზღვრების

გასწვრივ ამერიკული სადაზვერვო ტექნიკის განთავსება, ამინი ებებს გზებს ირანთან და პაკისტანთან დასაახლოებლად. ამინსა და ზია ულ-ჰაკს შორის შედგა შეთანხმება 1979 წ. დეკემბერში ქაბულში პაკისტანის მეთაურის პირადი წარმომადგენლის მიღება, საბჭოთა ჯარების ავღანეთში შესვლის შემთხვევაში აშშ დაიჭერს ნეიტრალურ პოზიციას. აშშ ჩათვლის ასეთ ნაბიჯს მოსკოვის შიდა საქმედ.

ი. პ. დობაევი: „ საბჭოთა ჯარი ჩართული იქნა ავღანეთში აშშ-ს სპეცსამსახურების კარგად დადგმული გეგმების მიხედვით, რომელთაც დაარწმუნეს ასაკოვანი საბჭოთა ხელმძღვანელობა, რომ აშშ სადაცაა პირველი შევა ავღანეთში.“ (9:36).

ვ. შირონინი, რომლის ამოცანებშიც შედიოდა ავღანეთის პრობლემატიკა, წერს: „რუსეთის სახელმწიფო უსაფრთხოების ორგანოებში არსებული მასალების მიხედვით ირკვევა ამერიკელების მიერ ბრზეჟინსკის იდეის განხორციელება, მოუწყოს სსრკ-ს, პირადი ვიეტნამის ეკვივალენტი“ და მიიღოს ყოველგვარი ზომები რათა აეძულებინათ საბჭოთა ხელისუფლება შეეყვანა ჯარები ავღანეთში. (9:42)

ამინის მონაწილეობით ჩაფიქრებული და განხორციელებული იქნა მთელი რიგი დეზინფორმაციული აქციები, რათა საბჭოთა მმართველები, განსაკუთრებით ბრეჟნევი წამოგებულიყო ამ ხრიკს. როგორც ჩანს პროფესიონალი კონტრმზვერავი არ გამორიცხავს ამინის თანამშრომლობას ამერიკელებთან.

დროის ამბავია გაირკვეს ვისი მხარე დაიჭირა ამინმა. ამინის ზურგს უკან იდგა ასდპ, მარტო ის არ გეგმავდა სოციალისტური წყობის შექმნას ავღანეთში. მეორეს მხრივ ამერიკისთვის არასასარგებლო სიტუაცია რეგიონში ხშირად იქმნებოდა. როგორც ჩანს სსრკ-ს კონფლიქტში ჩართვის მთავარი მიზეზები დამოკიდებული იყო იმ დროის მსოფლიოს არამყარ პოლიტიკურ მდგომარეობაზე. მიზეზთაგან ერთ-ერთი იყო აპრილის რევოლუციის შედეგად სათავეში მოსული სოციალიზმის კონცეფციის მომხრეები, რომლებიც შეეჯახნენ ძლიერ ოპოზიციას თავისი პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური სტრატეგიით. აშშ-ს სამხედრო-ეკონომიკურმა მოქმედებამ რეგიონში საფრთხე შექმნა ავღანეთი

გამოსულიყო სსრკ-ს გავლენის სფეროდან. აგრეთვე საბჭოთა ჯარების ავღანეთში შესვლის მიზანი იყო წინ აღდგომოდა შესაძლო ფუნდამენტალისტური ისლამის გაძლიერებას რეგიონში, რომელიც გამოწვეული იყო ირანის 1979 წლის ისლამური რევოლუციით.

ექვს არ იწვევს წიგნის „ომი ავღანეთში 1979-1989“ ავტორების ვარაუდი, რომელიც ყველაზე ახლოსაა სიმართლესთან. საიდუმლო ოპერაციები ავღანეთში მიმართული იყო სსრკ-ს პოლიტიკური და ეკონომიკური დასუსტებისკენ. მაგალითისთვის ნავთობზე ფასის დაცემამ 30-დან 10 დოლარზე დაბლა 1 ბარელზე.

გატარებული საიდუმლო ოპერაციების შედეგად ავღანეთის ოპოზიცია გადაიქცა ძალად, რომელსაც ხანგრძლივი დროის მანძილზე შეეძლო პარტიზანული წინააღმდეგობის გაწევა. შიდაპოლიტიკური მდგომარეობის გაუარესებით სსრკ-ს ყოფნამ ავღანეთში იქონია გაცილებით მეტი მინუსი, ვიდრე პლიუსი. საბოლოოდ აშშ-ს საიდუმლო ოპერაციებმა გამოიწვია სსრკ-ავღანეთის ურთიერთობების გაუარესება, საბოლოოდ 1992 წელს კი შეწყვეტა.

3.2 ავღანეთის პოლიტიკური განვითარება საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ

1992 წლის აპრილში დედაქალაქში დამტკიცდა ახალი მთავრობა. ავღანეთი გამოცხადდა ისლამურ სახელმწიფოდ. შემდგომ 1992 წლის დეკემბერში, ისლამური იდეების ძველი მებრძოლი ბურხაუდინ რაბანი იქნა არჩეული ავღანეთის ისლამური რესპუბლიკის მეთაურად. მიუხედავად ამისა მშვიდობა არ დამყარდა, ძირითადი ასპექტი ისლამური და ეთნიკური ფაქტორები იყო. რაბანი, რომელიც ეთნიკურად ტაჯიკი იყო, დაიკავა პრეზიდენტის პოსტი, ამასთანავე იყო „ავღანეთის ისლამური საზოგადოების“ თავჯდომარე, რომელიც შედგებოდა სხვადასხვა ეროვნებებით, მაინც გარკვეული რაოდენობა ტაჯიკები იყვნენ. პრეზიდენტს მხარს უჭერდა ცნობილი საველე მეთაური, ეროვნებით ტაჯიკი შახ მასუდი.

პუმტუნების ლიდერი გ. ჰეკმატიარი, ყოფილი კოალიციური მთავრობის მეთაური ემხრობოდა ლოზუნგს „ავღანეთი პუმტუნებისთვის“ და „შეურიგებლების“ მეთაურად ითვლებოდა, მეთაურობდა „ავღანეთის ისლამურ პარტიას“. ის ემხრობოდა ისლამურ ფუნდამენტალურ მიმართულებას. მისი მიზანი იყო შექმნილიყო ირანის მსგავსი ისლამური სახელმწიფო.

თუ ჰეკმატიარი ცდილობდა აღედგინა პუმტუნების მმართველობა ქვეყანაში, ყოფილი „წითელი გენერალი“ უზბეკი დუსტუმი მთელი ძალებით ცდილობდა ძალაუფლების შენარჩუნებას ქვეყნის ჩრდილოეთის ექვს პროვინციაში, რომლის ცენტრიც იყო მაზარი შარიფი. რათა დამოუკიდებელი ყოფილიყო ქაბულისგან. დუსტუმმა შექმნა ადგილობრივი ფრონტი, გააერთიანა ყველა პოლიტიკური ძალა დაწყებული კომუნისტებისგან და დამთავრებული ფუნდამენტალისტებისაგან.

საბოლოოდ 1995 წელს ავღანეთის სამხედრო პოლიტიკურ არენაზე გამოჩნდა თალიბანის მოძრაობა, ინსპირირებული პაკისტანში. მის ციტირებად ითვლებოდა (უპირველესად მ. უმარი) ისლამური სემინარიის მსმენელები, ამიტომ მოძრაობამ შეიძინა უკიდურესად რელიგიური ხასიათი, ბრძოლა „სუფთა ისლამისთვის“.

პაკისტანის სამხედრო და ფინანსური დახმარებით მნიშვნელოვანი წარმატების მიღწევა მოახერხეს. დაიკავეს რამოდენიმე პროვინცია, 1996 წელს კი აიღეს ქაბული.

1997-98 წლებში საბრძოლო მოქმედებები არ შეწყვეტილა, პირიქით მიიღო უფრო მასშტაბური სახე. 1997 წლის მაისში თალიბებმა შეძლეს რამოდენიმე დღით დაეკავებინათ ქალაქი მაზარი შარიფი და შიბირგანი, მაგრამ იძულებული გახდნენ უკან დაეხიათ დიდი მსხვერპლის ხარჯზე.

1997 წლის ივნისში თალიბების მოწინააღმდეგეებმა შექმნეს „ავღანეთის განთავისუფლების ისლამური ფრონტი“, რომელშიც შევიდნენ: ავღანეთის ეროვნულ ისლამური მოძრაობა დუსტუმის მეთაურობით, ავღანეთის ისლამური პარტია ჰეკმათიარის მეთაურობით და კიდევ სხვა ორი ორგანიზაცია.

1997 წლის 28 ოქტომბერს საპასუხოდ მოძრაობა თალიბანის საბჭომ (შურა), ავღანეთი გამოაცხადა ემირატად, აღადგინა ქვეყანაში მონარქია. საბჭოს თავჯდომარე მოჰამედ უმარ ახუიდზადა გახდა ქვეყნის მმართველი და მიიღო ემირის ტიტული.

1998 წელს თალიბანის მოძრაობამ, მიუხედავად დიდი დანაკარგებისა შეძლო გარკვეული ადმინისტრაციული და ეკონომიკური ცენტრების დაკავება ჩრდილოეთ ავღანეთში. უწყვეტი საბრძოლო მოქმედებები და რეალური ცენტრალური ხელისუფლების არარსებობა გახდა მიზეზი საშინელი მდგომარეობისა. მთლიანად დაინგრა საერთო ეროვნული მეურნეობა და ეკონომიკის მართვის ერთიანი სისტემა.

დაინგრა ქალაქები, სოფლები, რამოდენიმე ათასი სკოლა, დაახლოებით 200 საავადმყოფო. ნედლეულის ნაკლებობის გამო ხშირად გათიშულია ენერგომომარაგება, კადრების დეფიციტის გამო საწარმოების უმრავლესობა მოიშალა. სერიოზულად დაზიანდა სოფლის მეურნეობა, ეკონომიკის ძირითადი შემადგენელი. ათჯერ შემცირდა დამუშავებული მიწების რაოდენობა, დაინგრა ხელოვნური მორწყვის სისტემები, დაეცა მესაქონლეობა.

3.3. ნატოს სამშვიდობო მისია ავღანეთში

2001 წლის 7 ოქტომბერს, 11 სექტემბრიდან თითქმის ერთ თვეში, ამერიკისა და ნატოს სამხედრო ძალებმა ავღანეთში ალ-ქაიდასა და თალიბანის წინააღმდეგ შეტევა დაიწყეს. დაწყებით ფაზაზე, სამხედროებმა მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწიეს. თალიბანი სწრაფად დაემხო. ბინ ლადენი კი გაიქცა. სამხედრო ზომებს მხარს უჭერდა გაეროს უშიშროების საბჭო და აშშ-ს მეთაურობით გლობალურ კოალიციას უერთდებოდა 170-მდე სახელმწიფო.

გამოყენებული იყო ბევრი ახალი ტექნოლოგია. სპეციაური დანიშნულების ძალები, რომელთა შემადგენლობაში იყვნენ „მწვანე ბერეტები“, სხვა ელიტარული შენაერთები და ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს თანამშრომლები, მტრის ტერიტორიაზე მოქმედებდნენ. მათ რთული რელიეფის პირობებში ცხენებზე ამხედრებულებს უწევდათ მოქმედება, თუმცა ტექნოლოგიური საშუალებების გამოყენებით ახდენდნენ სამიზნეების იდენტიფიცირებას და ბომბდამშენებისთვის ზუსტი ინფორმაციის მიწოდებას.

აშშ-ს სამხედრო საავიაციო ძალების ერთ-ერთმა ოფიცერმა ცხენების მეშვეობით ტექნოლოგიების გადაადგილების ეს მარტივი ფორმულა შემდეგნაირად ახსნა: „21-ე საუკუნის საჰაერო და კოსმოსური ძალები შერწყმული მე-16 საუკუნის ქვეით ჯართან“. (7:558).

ტექნოლოგიური საშუალებების მიუხედავად, ავღანეთის ომი ნაკლოვანებებითაც გამოირჩეოდა. სამხედრო ოპერაციაში აშშ-ს სახმელეთო კონტინენტის შემცირების მიზნით ამერკილები ეყრდნობოდნენ ადგილობრივ სამხედრო ძალებს.

თალიბების წინააღმდეგ მებრძოლი ძალა ავღანეთში, ჩრდილოატლანტიკური ალიანსი წარმოადგენდა მნიშვნელოვან მოკავშირეს, მაგრამ არა ყველა საკითხში. როდესაც ნატო-ს და აშშ-ს ინტერესები გადაიკვეთებოდა, მაშინ ალიანსი სანდო პარტნიორი იყო, მაგრამ როდესაც მათი ინტერესები ერთმანეთისგან განსხვავდებოდა ალიანსი დამოუკიდებლად

მოქმედებდა. ამის მაგალითი არის 2001 წლის დეკემბერში თორა-ბორასთვის გამართული მნიშვნელოვანი ბრძოლა. ალ-ქაიდას ბევრი ლიდერი, მათ შორის ალბათ ბინ ლადენიც, ამ მთიანი რეგიონის გამოქვაბულებს აფარებდნენ თავს. მათგან დიდმა ნაწილმა გაქცევა მოახერხა, რადგან ჩრდილოეთის ალიანსის შეტევები ცუდად იყო განხორციელებული. ჩრდილოეთის ალიანსმა თალიბების დამხობას, თავის ძირითად მიზანს მიაღწია. ალ-ქაიდას შეპყრობა მათთვის ნაკლებად მნიშვნელოვანი იყო, ვიდრე ამერიკისთვის. აქედან გამომდინარე, არ უნდოდათ გაეწიათ დიდი რისკი, რომელიც თორა-ბორას მისიასთან იყო დაკავშირებული.

ამ და სხვა მიზეზების გამო, მოპოვებული გამარჯვება გადამწყვეტი არ აღმოჩნდა. გამოძიების ფედერალური ბიუროსა და ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს ერთობლივმა მოხსენებამ 2002 წლის ივნისში პრესაში გაჟონა. მოხსენებაში დასკვნის სახით ნათქვამია, რომ „ავღანეთში ომმა აშშ-ს საფრთხე არ შეუქმნია... პირიქით, ომის შედეგად პოტენციური თავდასხმელების გაცილებით ფართო გეოგრაფიულ არეალში მიმოფანტვის გამო კონტრტერორისტული ამოცანა შესაძლებელია გაართულდა კიდევ. რამდენიმე თვის შემდეგ, ავღანეთში აშშ-ს სამხედრო ძალების მეთაურის, გენერალ ლეიტენანტ დენ მაკნილის პროგნოზის მიხედვით, აშშ-ს კიდევ ორი წელი დასჭირდებოდა ალ-ქაიდას გასანადგურებლად და ძლიერი ავღანური ჯარის შესაქმნელად, რომელიც არ დაუშვებდა ავღანეთის ტერიტორიის გადაქცევას ტერორისტების თავშესაფრად.

ავღანეთში კოალიციის არასაკმარისი ძალების შედეგად, თალიბანის მებრძოლებმა ნელ-ნელა უკან დაბრუნება და ტერიტორიის ხელახალი დაკავება დაიწყეს. ამასობაში კი 2003 წელს ამერიკის ყურადღება ერაყის ომზე გადაერთო. ამან კი რა თქმა უნდა გააძლიერა ტერორისტების გავლენა ტერიტორიაზე.

2008 წლის საარჩევნო კამპანიის დროს ბარაკ ობამამ ავღანეთის ომს მხარი დაუჭირა ერაყში მიმდინარე ომისგან განსხვავებით. გაპრეზიდენტების შემდეგ მან პირველ ყოვლისა ავღანეთში კონტინგენტის გაზრდა გადაწყვიტა და პოლიტიკის

გადახვევაც დაიწყო. პოლიტიკის რევიზიის პარალელურად მან ავღანეთში დამატებით 30 ათასი ჯარისკაცის გაგზავნის წინადადება დააყენა, რაც ჯარისკაცთა საერთო რაოდენობას 100 ათას კაცამდე გაზრდიდა. ამავდროულად, მან თქვა, რომ ეს იყო დროში შეზღუდული მილიტარიზაცია და ავღანეთიდან ჯარის გამოყვანის დაწყების თარიღად 2011 ივლისი დასახელდა, ხოლო აშშ-ს სამხედროების სრული გამოყვანის თარიღად 2014 წლის ბოლო.

კარზაის მთავრობასთან ურთიერთობები პრობლემური რჩებოდა. პოლიტიკური რეფორმების განსახორციელებლად გარკვეული ზეწოლა ხორციელდებოდა, თუმცა ამას დიდი ცვლილებები არ მოჰყოლია. კორუფცია იმდენად მზარდი იყო, რომ „საერთაშორისო გამჭვირვალობის“ კორუფციის რანჟირებაში ავღანეთმა 182 ქვეყანას შორის 174-ე ადგილზე გადაინაცვლა. თავის მხრივ, კარზაიმაც გააკრიტიკა აშშ და მას ქვეყანაში არსებულ არასტაბილურობაში დასდო ბრალი. მიუხედავად იმისა, რომ აშშ-ს პოლიტიკა მართლაც იმსახურებდა კრიტიკას, აშშ-ს თავდაცვის მდივანმა, ლეონ პანეტამ პასუხი არ დააყოვნა და აღნიშნა, რომ კარზაი „აშშ-ს წინააღმდეგ კრიტიკით გამოსვლის ნაცვლად მადლობელი უნდა ყოფილიყო იმ ამერიკელებისა, რომლებმაც გაიღეს მსხვერპლი, იბრძოლეს და დაიღუპნენ ავღანეთში“. მიღწევების შეფასებები სხვადასხვაგვარი არსებობდა, თუმცა 2012 წლისთვის ამერიკული საზოგადოების 67% ეწინააღმდეგებოდა ომს. ამის ერთ-ერთი მიზეზი ომისგან დაღლილობა იყო და ასევე მზარდი დანაკარგები. ავღანეთის ომს 9 წლის განმავლობაში აშშ-ს მხრიდან 1000 კაცი ემსხვერპლა, შემდგომი ორ-ნახევარი წლის განმავლობაში ამ რიცხვმა 2000 შეადგინა. ასევე სტრატეგიული შეფასების დროს მხოლოდ 30% მიიჩნევდა, რომ ომმა ამერიკა გაცილებით უსაფრთხო გახადა.

2012 წელს, მეორე ვადით არჩევის შემდეგ, ობამამ დააჩქარა სამხედრო შენაერთების გამოყვანა ავღანეთიდან. დებატები გაგრძელდა ავღანეთში დასატოვებელ სამხედროთა რაოდენობისა და მათი მისიის ხელახალი განსაზღვრის ირგვლივ.

ნატოს მისია ავღანეთში ოფიციალურად, მართალია 2014 წლის ბოლოს დასრულდა, მაგრამ უკვე 2015 წლიდან ამოქმედდა ახალი პროგრამა, რომელიც მთავარი ამოცანაც გახდა ქვეყანასთან თანამშრომლობის გაღრმავება და ავღანეთისათვის სამხედრო დახმარების გაწევა.

დასკვნა

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ მის ტერიტორიაზე გაჩნდა ეთნიკური დაპირისპირებების საშიშროება და მსოფლიოს ყურადღება მიიქცია ცენტრალურმა აზიამ.

ავღანეთი წარმოადგენს ცენტრალური აზიის ნაწილს და იგი არის ერთ-ერთი უღარიბესი ქვეყანა, ვინაიდან მან გადაიტანა მრავალი სამოქალაქო ომი და იგი დღესაც მიმდინარეობს. ავღანეთისთვის რელიგიას და კერძოდ ისლამს დიდი ადგილი უკავია, რადგანაც ავღანეთის რესპუბლიკის მთავრობა მას, ეროვნული შერიგების პოლიტიკის განხორციელებაში იყენებს, ხოლო, მეორე მხრივ, ოპოზიციური ძალების ხელში იგი წინააღმდეგობის იარაღს წარმოადგენს.

ავღანეთი ცდილობდა განვითარებულიყო, გაატარეს მრავალი რეფორმა, მრავალი მმართველის დროს ხდებოდა ქვეყნის ეკონომიკის და სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება, გლეხებისთვის უკეთესი პირობების შექმნა, ქალებისთვის ჩადრის მოხსნის უფლება და ა.შ. თუმცადა სახელმწიფომ მაინც ვერ შეძლო ფეხზე წამოდგომა, რადგანაც ერთის მხრივ შეხედულებები სხადასხვანაირი იყო, ზოგს სურდა ირანის მსგავსად ისლამური წყობა ყოფილიყო, მეორეს მხრივ კი დამოუკიდებელი სახელმწიფო. ამ სიტუაციამ გამოიწვია მრავალი დამაბულობა და სამოქალაქო ომი.

ქვეყნის განვითარების ხელისშემშლელ ფაქტორად ასევე შეგვიძლია განვიხილოთ აშშ-ს როლი ავღანეთში, ვინაიდანაც მას აქვს სურვილი გახდეს ჰეგემონი სახელმწიფო და ამისათვის მან ავღანეთში ფარულად შეაღწია და მოახდინა ქვეყნის ესკალაცია. განათავსა სამხედრო ბაზები და დაიწყო სამხედრო წვრთნები, ფაქტიურად ქვეყანა აქცია საბრძოლო პოლიგონად.

ქვეყანაში გაიზარდა იარაღით და სამხედრო მასალებით ვაჭრობა, გატაცება, ნარკოტიკებით ვაჭრობა და ა.შ.

გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა:

1. აზიისა და აფრიკის ქვეყნების ისტორიის აქტუალური პრობლემები. თსუ, 1991
2. აზიისა და აფრიკის ქვეყნების ისტორიის საკითხები. თსუ, 1993
3. ისტორია-ფილოლოგია. III. თბ., 2005
4. საერთაშორისო ურთიერთობები და დიპლომატია. თსუ., 2004
5. ტაიარი მ. ავღანეთი: მითი და რეალობა. თბ., 1987
6. ჯაფარიძე გ. ისლამი (ენციკლოპედიური ცნობარი). თბ., 2001
7. ჯენტლესონი ბ. ამერიკის საგარეო პოლიტიკა. ისუ, 2015
8. Азия и Африка сегодня». ежемесячный научный и общественно-политический журнал.
9. Аваков М., Необъявленная война против Афганистана. „Новая время“. 1980, N 31
10. Ершова Л. С., Солодовник Д. М. Национально-демократическая революция в Афганистане и ислам, в кн. Революционные движения и империалистическая контрреволюция (70-е начало 80-х годов), М., 1987.
11. История афганистана с древнейших времен до наших дней, М., 1982
12. “Народы Азии и Африки“. научный и политический журнал
13. Новейшая история стран Азии и африки XX век 1945-2000. Под редакцией А. М. Родригеса. МГУ, 2001.
14. Male B. Afghanistan. The Politics of Islamic Reassertin, 1981
15. “Economist”. 1. 09. 1979
16. “Kabul New Times”, 31. 07. 1986.
17. “Time”. 1980, N 5, გვ. 30-31.
18. <https://cyberleninka.ru/article/v/taynaya-strategiya-ssha-v-afganistane-v-1979-1989-gg?fbclid=IwAR1VVQ45OSeTQie6INFRgZzY3XlVpjTij2nGxmxikqnAKh91ydu81ki1yJQ>.
19. <http://infocenter.gov.ge/nato-structure/>